

ასს 540 (გადასინჯული) დანერგვა –  
მარტივი და რთული საილუსტრაციო მაგალითები  
**2020 წლის მაისი**



## ასს 540 (გადასინჯული) დანერგვა – საილუსტრაციო მაგალითები

ეს პუბლიკაცია მოამზადა აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) სამუშაო ჯგუფმა ასს 540 -ის (გადასინჯული) - „სააღრიცხვო შეფასებებისა და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების აუდიტი“ - დამტკიცების შემდეგ. ამ პუბლიკაციის გაცნობა ვერ ჩაანაცვლებს საკუთრივ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) გაცნობას და არ ცვლის და არც აუქმებს ასს-ებს, რადგან მხოლოდ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების ტექსტი არის ოფიციალური საკალდებულო ტექსტი. საილუსტრაციო მაგალითები ახსნილია, როგორ შეიძლება ასს 540 -ის (გადასინჯული) გარკვეული მოთხოვნების გამოყენება, მაგრამ ეს არ არის აუდიტის დოკუმენტაციის ნიმუში, რომელიც აუდიტორულმა ფირმებმა უნდა მოამზადონ.

### შესავალი

შემდეგი საილუსტრაციო მაგალითები შემუშავებულია აუდიტორების დასახმარებლად, იმის საჩვენებლად, თუ როგორ შეუძლია აუდიტორს ასს 540-ის (გადასინჯული) გარკვეული მოთხოვნების შესრულება:

<p>1. <u>მარტივი სააღრიცხვო შეფასება - მარაგების გაუფასურების ანარიცხი</u></p>	<p>1 -ლი მაგალითი გვიჩვენებს, რა უნდა გააკეთოს აუდიტორმა ასს 540 -ის (გადასინჯული) საილუსტრაციო მიზნებისთვის განსახილველად შერჩეული მოთხოვნების შესასრულებლად – შედარებით მარტივი სააღრიცხვო შეფასებების მქონე სუბიექტის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში.</p>
<p>2. <u>რთული სააღრიცხვო შეფასება - მირითადი საშუალებების გაუფასურების ანარიცხი</u></p>	<p>მე-2 მაგალითი გვიჩვენებს, რა უნდა გააკეთოს აუდიტორმა ასს 540 -ის (გადასინჯული) საილუსტრაციო მიზნებისთვის განსახილველად შერჩეული მოთხოვნების შესასრულებლად – შედარებით უფრო რთული სააღრიცხვო შეფასებების მქონე სუბიექტის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში.</p>

მაგალითები ეხება განსხვავებული მახასიათებლებისა და სირთულის ხარისხის მქონე სააღრიცხვო შეფასებებს. თითოეული მაგალითი გვიჩვენებს ასს 540-ის (გადასინჯული) შერჩეული მოთხოვნების გამოყენებას. არც ერთ მაგალითში არ არის განხილული სტანდარტის ყველა მოთხოვნა და არც შერჩეული მოთხოვნების ყველა ნაწილია განხილული. თითოეული მაგალითისთვის შერჩეული მოთხოვნები განსხვავებულია, რათა წარმოჩინდეს ასს 540-ის (გადასინჯული) სხვადასხვა ასპექტი და ყურადღება გამახვილდეს იმ მოთხოვნებზე, რომლებიც ყველაზე შესაფერისა კონკრეტული მაგალითისთვის.

მაგალითებისთვის გამოყენებულია შემდეგი ფორმატი:

ას 540 -ის (გადასინჯული) მოთხოვნების შერჩევა	აუდიტორის ცოდნა და მიდგომა
<p>ამ სვეტში წარმოდგენილია ამონარიდები ას 540 -ის (გადასინჯული) მოთხოვნებიდან. ამ ამონარიდების წაკითხვა არ ცვლის მთელი სტანდარტის გაცნობის საჭიროებას. ამონარიდები არ შეიცავს მიზნებს, გან-მარტებებს და არც სტანდარტის მოთხოვნების გამოყენებასთან დაკავშირებულ მასალას, რაც აუცილებელია მოთხოვნების სათანადო გამოყენებისთვის.</p>	<p>ამ სვეტში მაგალითების მეშვეობით ნაჩვენებია, თუ როგორი შეიძლება იყოს აუდიტორის რეაგირება განხილულ მოთხოვნებზე, მათ შორის, ჩატარებული პროცედურებისა და მათი სავარაუდო შედეგების აღწერა. მაგალითები იმისთვის არ არის გამიზნული, რომ:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მოიცვას სხვა შესაძლო შედეგებიც;</li> <li>• გაითვალისწინოს ყველა პროცედურის აღწერა, რომლის ჩატარებაც შესაძლებელია სათანადო მოთხოვნების შესასრულებლად; ან</li> <li>• განხილული იყოს ყველა რელევანტური მოსაზრება.</li> </ul>

აუცილებელია ამ მაგალითების ერთად წაკითხვა, რათა უფრო თვალსაჩინო გახდეს, როგორ შეუძლია აუდიტორს ას 540-ის (გადასინჯული) მოთხოვნების შესასრულებლად თავისი სამუშაო პროცესის მასშტაბის გაფართოება ან შემცირება რთული და მარტივი სააღრიცხვო შეფასებების აუდიტში, შესაბამისად. მაგალითად, აუდიტორის მიერ სუბიექტისა და მისი გარემოს, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემის შესწავლაზე მიმართული ძალისხმევა შეიძლება გარკვეულად შეიკვეცოს მარტივი სააღრიცხვო შეფასებების აუდიტის დროს, რთული სააღრიცხვო შეფასებების შემოწმებასთან შედარებით. ამასთან ერთად, აუდიტორმა შეიძლება მიიჩნიოს, რომ მარტივი სააღრიცხვო შეფასებების აუდიტისთვის საჭირო არ არის სპეციალიზებული უნარები, ან მნიშვნელოვანი დაშვებების მცირე რაოდენობაა საჭირო, ან გამოყენებული მეთოდი არ მოითხოვს მოდელირებას.

#### საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც გათვალისწინებული არ არის ამ პუბლიკაციაში

მუშავდება დამატებითი საილუსტრაციო მაგალითები იმის საჩვენებლად, როგორ შეუძლია აუდიტორს ას 540-ის (გადასინჯული) მოთხოვნების შესრულება გაცილებით უფრო რთული სააღრიცხვო შეფასებების აუდიტში, მაგალითად, რომლებიც დაკავშირებულია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალთან.

## 1-ლი მაგალითი - ასს 540 -ის (გადასინჯული) შერჩეული ასპექტების გამოყენება მარაგების გაუფასურების ანარიცხის მიმართ

### **მოცემულობა**

საწარმო ყიდის პროფესიონალურ, სამოყვარულო და სამომხმარებლო ფოტოაპარატებს. პროფესიონალური აპარატები ძვირია და სუბიექტს ასეთი საქონლის მცირე მარაგი აქვს. სამოყვარულო ფოტოაპარატების ფასები ზომიერია და საწარმოს შედარებით დიდი მოცულობის მარაგი აქვს. სამომხმარებლო აპარატები შედარებით იაფია და საწარმოს დიდი მოცულობის მარაგები აქვს. სამოყვარულო და სამომხმარებლო ფოტოგრაფიული საქონლის ინდუსტრიის სწრაფი განვითარების გამო, ახალი მოდელების გამოსვლამ შეიძლება გაართულოს ძველი მოდელების გაყიდვა. გარდა ამისა, მობილური ტელეფონების ფუნქციებში პროგრამირებული სამომხმარებლო ფოტოაპარატების შესაძლებლობების გაუმჯობესება ამცირებს სამომხმარებლო ფოტოაპარატების გაყიდვებს. როდესაც კონკრეტული მოდელების გაყიდვის მაჩვენებლები იკლებს, აუდიტის დამკვეთი სუბიექტის ხელმძღვანელობა ამცირებს გასაყიდ ფასს, რათა უზრუნველყოს ნელა მოძრავი/გაყიდვადი საქონლის მარაგის გაყიდვა. ამგვარი ფასდათმობების სიდიდე შეიძლება გაიზარდოს დროთა განმავლობაში, თუ ამას საჭიროდ მიიჩნევენ გაყიდვების გასაზრდელად. წლის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს და ქმნის ანარიცხს მარაგების გაუფასურებისთვის, სამომხმარებლო მოთხოვნის შემცირების, ტექნოლოგიების განვითარების ან სხვა ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით.

მაგალითად, ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლები მოითხოვს, რომ მარაგი შეფასდეს თვითღირებულებასა და წეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით<sup>1</sup>. მარაგების ჩამოწერის თანხა ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე და მარაგების ყველა დანაკარგი აღიარდება, როგორც ხარჯი, ჩამოწერის ან ზარალის პერიოდში. მარაგების ჩამოწერილი თანხის ნებისმიერი აღდგენილი ოდენობა, რომელიც განპირობებულია ნეტო სარეალიზაციო ღირებულების ზრდით, აღიარდება, როგორც ხარჯების შემცირება იმ პერიოდში, როდესაც აღდგენას აქვს ადგილი.<sup>2</sup> ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლები, სხვასთან ერთად, მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში ინფორმაციის გამჟღავნებას მარაგების შეფასებასთან დაკავშირებული საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ, მათ შორის გამოყენებული თვითღირებულების ფორმულის, პერიოდის განმავლობაში ხარჯად აღიარებული ჩამოწერილი მარაგებისა და ასევე ჩამოწერილი მარაგის აღდგენილი ოდენობის თაობაზე, რომელიც აღიარებულია, როგორც პერიოდის განმავლობაში ხარჯად აღიარებული მარაგების თანხის/ოდენობის შემცირება<sup>3</sup>.

საწარმო არ ფუნქციონირებს რეგულირებად სექტორში.

1. მაგალითად, ბას 2 – „მარაგები“, მე-9 პუნქტი.

2. მაგალითად, ბას 2, 34-ე პუნქტი.

3. მაგალითად, ბას 2, 36-ე პუნქტი.

## ასს 540 -ის (გადასინჯული) გამოყენება

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია აუდიტორის ცოდნისა და მიდგომის საილუსტრაციო მაგალითები, რომელთა გამოყენება შესაძლებელია ასს 540 -ის (გადასინჯული) შერჩეულ მოთხოვნებთან მიმართებით. ეს მასალა არ ეხება სტანდარტის ყველა მოთხოვნას. შეიძლება არსებობდეს სხვა ფაქტორებიც, რომლებიც მსგავსი სუბიექტის აუდიტის სპეციფიკური გარემოებებისთვის იქნება რელუვანტური (მაგ., მომწოდებლებისგან მიღებული ფასდათმობები ან/და უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა იმპორტირებული საქონლის ფასებზე).

ასს 540 -ის (გადასინჯული) მოთხოვნების არჩევა <sup>4</sup>	აუდიტორის ცოდნა და მიდგომა <sup>5</sup>
<b>რისკის შეფასების პროცედურები და დაკავშირებული ქმედებები</b>	
<p>13. ასს 315-ის (გადასინჯული)<sup>6</sup> მოთხოვნების შესაბამისად სუბიექტისა და მისი გარემოს, მათ შორის, შიდა კონტროლის შესწავლის პროცესში აუდიტორმა სუბიექტის სააღრიცხვო შეფასებებთან დაკავშირებით უნდა შეისწავლოს ქვემოთ აღწერილი საკითხები. ამ მიზნით აუდიტორმა ისეთი მოცულობის პროცედურები უნდა ჩაატაროს, რაც აუცილებელია სათანადო საფუძვლის შესაქმნელად არსებითი უზუსტობის რისკების გამოვლენისა და შეფასებისთვის ფინანსური ანგარიშებისა და ცალკეული მტკიცების დონეზე. (იხ. პუნქტები გ19-გ22)</p>	<p>აუდიტორმა ჩაატარა რისკის შეფასების პროცედურები სუბიექტისა და მისი გარემოს შესასწავლად, მათ შორის პროცედურები სააღრიცხვო შეფასებებთან დაკავშირებით:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• გაეცო წინა პერიოდის აუდიტის სამუშაო დოკუმენტებს და წინა პერიოდის ფინანსურ ანგარიშებას;</li> <li>• შეისწავლა საბჭოს და კომიტეტის სხდომების ოქმები;</li> <li>• გამოკითხვის პროცედურის მეშვეობით გაარკვია, ხელმძღვანელობიდან ვის ეკისრებოდა სათანადო პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშებაზე; და</li> <li>• ჩაატარა თავიდან ბოლომდე გავლის მარტივი ტესტი ხელმძღვანელობის მიერ დადგენილ პროცესზე, რომელიც განკუთვნილია ანარიცხის შესაფასებლად.</li> </ul>
<p><b>სუბიექტი და მისი გარემო</b></p> <p>ა) სუბიექტის ოპერაციები, სხვა მოვლენები და პირობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს სააღრიცხვო შეფასებების ფინანსურ ანგარიშებაში აღიარების ან ფინანსური ანგარიშების შენიშვნებში გამჟღვნების საჭიროება, ან სააღრიცხვო შეფასებების შეცვლა; (იხ. პუნქტი გ23)</p>	<p>აუდიტორმა დაადგინა, რომ სუბიექტის საკუთრებაში არსებული ზოგიერთი ფოტო-პარატის ღირებულება შეიძლება გაუფასურდეს. ამის გამო, შეიძლება საჭირო გახდეს მარაგების გაუფასურების ანარიცხის (ე.ი. სააღრიცხვო შეფასება) შექმნა ან შეცვლა, რათა გაუფასურებული მარაგები აღირიცხოს თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.</p>

4. მიმართეთ სტანდარტის გამოყენებისა და სხვა ახსნა-განმარტებითი მასალის შესაბამის ნაწილს.

5. ამ სვეტში განხილული მასალა გამოიზულია მხოლოდ მოცემული მაგალითის შესაძლო შედეგების საილუსტრაციოდ და არ მოიცავს ყველა შესაძლო შედეგს.

6. ასს 315 (გადასინჯული), პუნქტები 3, 5–6, 9, 11–12, 15–17 და 20–21.

ასს 540 -ის (გადასინჯული) მოთხოვნების არჩევა <sup>4</sup>	აუდიტორის ცოდნა და მიდგომა <sup>5</sup>
<p>ბ) ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლების მოთხოვნები, რომლებიც სააღრიცხვო შეფასებებს ეხება (მათ შორის, აღიარების კრიტერიუმები, შეფასების საფუძველი და მათ წარდგენასა და ახსნა-განმარტებასთან დაკავშირებული მოთხოვნები); ასევე როგორ გამოიყენება ისინი მოცემული სუბიექტისა და მისი გარემოს სპეციფიკისა და გარემოებების გათვალისწინებით, მათ შორის რა გავლენას ახდენს თანდაყოლილი რისკფაქტორები სუბიექტის ოპერაციებსა და სხვა მოვლენებსა თუ პირობებზე; (იხ. პუნქტები გ24–გ25)</p>	<p>მარაგებსა და გაუფასურებასთან დაკავშირებული მოთხოვნების გასარკვევად აუდიტორი გაეცნო სუბიექტის ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლებში შესაბამის სტანდარტებს.</p> <p>იმის დასადგენად, როგორ გამოიყენება ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლების მოთხოვნები მოცემული სუბიექტის კონტექსტში (რომლის აუდიტსაც ატარებს აუდიტორი) და როგორ გავლენას ახდენს მათზე თანდაყოლილი რისკფაქტორები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• აუდიტორი გაეცნო ფოტოაპარატებით საცალო ვაჭრობის სექტორის კომერციულ პულიკაციებს შესაბამიშებელი პერიოდის დასაწყისიდან მიმდინარე თარიღამდე და გაერკვია ამ სექტორის სავაჭრო პირობებში;</li> <li>• გამოკითხვის პროცედურის მეშვეობით დაადგინა, ხელმძღვანელობიდან ვის ეკის-რებოდა სათანადო პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე, მარაგების კონტროლზე, პროდუქციის შესყიდვასა და მარკეტინგზე; და</li> <li>• ჩაატარა თავიდან ბოლომდე გავლის მარტივი ტესტი ხელმძღვანელობის მიერ დადგენილ პროცესზე, რომელიც განკუთვნილია ანარიცხის შესაფასებლად.</li> </ul> <p>აუდიტორმა დაადგინა, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლების მოთხოვნების გამოყენება სუბიექტის მარაგების გაუფასურების ანარიცხთან დაკავშირებით მარტივი უნდა იყოს. საწარმოს ბიზნესის ბუნება და გარემოებები მიუთითებს, რომ ანარიცხის შესაფასებლად და განმარტებითი შენიშვნებში მარაგების გაუფასურებასთან დაკავშირებით შესაბამისი ინფორმაციის გასამუღავნებლად საჭირო არ არის მოდელირების რთული მეთოდების გამოყენება. დაკავშირებული თანდაყოლილი რისკფაქტორები მოიცავს საბაზრო პირობებთან დაკავშირებული განუსაზღვრელობის, ფოტოაპარატების ფასებზე მისი შესაძლო გავლენის და ასევე იმ დაშვებების სუბიექტურობის შეფასებას, რომლებიც ხელმძღვანელობამ გამოიყენა ანარიცხის შეფასებისას ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლების შესაბამისად.</p> <p>[შენიშვნა: თანდაყოლილი რისკის შეფასება მოცემულია ქვემოთ ასს 540-ის (გადასინჯული) მე -16 პუნქტში.]</p>
<p>გ) სუბიექტის სააღრიცხვო შეფასებებისთვის შესაფერისი მარეგულირებელი ფაქტორები, მათ შორის, რომლებიც დაკავშირებულია პრუდენციულ ზედამხედველობასთან, როდესაც შესაფერისა; (იხ. პუნქტი გ26)</p>	<p>საკუთარი ცოდნის, მოცემულ დარგთან დაკავშირებით ხელმისაწვდომი მითითებებისა და ხელმძღვანელობასთან საკითხის განხილვის შედეგად, აუდიტორმა დაადგინა, რომ არ არსებობს სუბიექტის მარაგის გაუფასურების ანარიცხთან დაკავშირებული რაომე მარეგულირებელი ფაქტორები.</p>

ასს 540 -ის (გადასინჯული) მოთხოვნების არჩევა <sup>4</sup>	აუდიტორის ცოდნა და მიდგომა <sup>5</sup>
<p>დ) იმ სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებით შენიშვნებში გასამჟღავნებელი შესაბამისი ინფორმაციის ხასიათი, რომლებიც, აუდიტორის ვარაუდით, ასახული უნდა იყოს ფინანსურ ანგარიშგებაში, 13(ა)–(გ) პუნქტებში განხილული საკითხების შესწავლის შედეგად; (იხ. პუნქტი გ27)</p>	<p>აუდიტორმა ამ საკითხებზე წარმოდგენა შეიქმნა მე-13(ა)-(გ) პუნქტების შესაბამისად ჩატარებული პროცედურების შედეგების საფუძველზე, რომლებმაც გამოავლინა გაუფასურების ანარიცხოს საჭიროება.</p> <p>აუდიტორმა დაადგინა სააღრიცხვო შეფასების სავარაუდო ხასიათი და სუბიექტის ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გასამჟღავნებელი ინფორმაცია მარაგების გაუფასურების ანარიცხთან დაკავშირებული მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც განსაზღვრულია ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლებით (ე.ი. თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხის განსაზღვრა ბასს 2-ის შესაბამისად). ამაში აუდიტორს დაეხმარა წინა პერიოდის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნების გაცნობაც, რომლებიც ეხებოდა სუბიექტის მარაგების გაუფასურების ანარიცხს.</p>
<p><b>სუბიექტის შიდა კონტროლი</b></p> <p>ე) სუბიექტში არსებული, ფინანსური ანგარიშგების მომზადებასთან დაკავშირებული ზედამხედველობისა და მართვის ხასიათი და დონე, რომლებიც ეხება სააღრიცხვო შეფასებებს; (იხ. პუნქტი გ28–გ30)</p>	<p>აუდიტორმა დაკვირვებისა და გამოკითხვის პროცედურების შედეგად დაადგინა, რომ საწარმოს მესაკუთრე მონაწილეობს მის ყოველდღიურ საქმიანობაში და ის უწევს ზედამხედველობას მარაგებზე პასუხისმგებელ თანამშრომლებსა და ბუღალტერს, რომელიც აფასებს მარაგის გაუფასურების ანარიცხს.</p>
<p>ვ) როგორ ადგენს ხელმძღვანელობა სააღრიცხვო შეფასებებთან დაკავშირებული სპეციალური უნარ-ჩვევების ან ცოდნის გამოყენების საჭიროებას, მათ შორის ხელმძღვანელობის ექსპერტის, ან როგორ იყენებს მათ; (იხ. პუნქტი გ31)1)</p>	<p>აუდიტორმა გამოკითხვის პროცედურების შედეგად გაარკვია, რომ ხელმძღვანელობის დასკვნის მიხედვით სპეციალიზებული უნარ-ჩვევების ან გამოცდილების გამოყენების საჭიროება არ არსებობს, რადგან ისინი საფუძვლიანად არიან ინფორმირებულები თავიანთი პროდუქტების შესახებ და ასევე აწარმოებენ ბაზრის (და პროდუქტების გაყიდვების) მონიტორინგს.</p>
<p>ზ) სუბიექტის რისკის შეფასების პროცესი როგორ ავლენს სააღრიცხვო შეფასებებთან დაკავშირებულ რისკებს და როგორ რეაგირებს მათზე; (იხ. პუნქტი გ32–გ33)</p>	<p>აუდიტორმა დაადგინა, რომ ხელმძღვანელობას არ აქვს რისკების შესაფასებელი ფორმალური პროცესი და მიაჩნია, რომ ეს არ არის უჩვეულო ამ ზომისა და ხასიათის საწრმოსთვის.</p>

ასს 540 -ის (გადასინჯული) მოთხოვნების არჩევა <sup>4</sup>	აუდიტორის ცოდნა და მიღომა <sup>5</sup>
<p>თ) სუბიექტის საინფორმაციო სისტემის ის ნაწილი, რომელიც დაკავშირებულია სააღრიცხვო შეფასებებთან, მათ შორის:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>(i) ოპერაციების კატეგორიები, მოვლენები და პირობები, რომლებიც მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშებისთვის და იწვევს სააღრიცხვო შეფასებების გამოთვლისა და განმარტებით შენიშვნებში მასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამუდავნების საჭიროებას, ან სააღრიცხვო შეფასებების შეცვლას; და (იხ. პუნქტები გ34–გ35)</li> <li>(ii) ამგვარი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებით შენიშვნებში გასამჟღავნებელი შესაბამისი ინფორმაციისთვის, ხელმძღვანელობა როგორ: <ul style="list-style-type: none"> <li>ა. განსაზღვრავს შესაფერის მეთოდებს, დაშვებებს ან მონაცემების წყაროებს და მათი შეცვლის საჭიროებას, ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლების მოთხოვნების გათვალისწინებით, მათ შორის, როგორ: (იხ. პუნქტები გ36– გ37) <ul style="list-style-type: none"> <li>i. არჩევს ან შეიმუშავებს გამოყენებულ მეთოდებს, მათ შორის მოდელებს და როგორ იყენებს მათ; (იხ. პუნქტები გ38–გ39)</li> <li>ii. არჩევს გამოსაყენებელ დაშვებებს, მათ შორის, როგორ ითვალისწინებს სხვა დაშვებებს და როგორ ადგენს მნიშვნელოვან დაშვებებს; და (იხ. პუნქტები გ40–გ43)</li> </ul> </li> </ul> </li> </ul>	<p>აუდიტორმა დაადგინა, რომ ყველა ფოტოაპარატს აქვს საკუთარი სერიული ნომერი და შესაძლებელია მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტის მიკვლევა და გაცნობა შესყიდვის ანგარიშ-ფაქტურებამდე. ასევე შესაძლებელია თითოეული ფოტოაპარატის თვითღირებულების ცალ-ცალკე განსაზღვრა. ეს თვითღირებულება ბუღალტრული აღრიცხვის სისტემაში აისახება საქონლის მიღებისას.</p> <p>მარაგების გაუფასურების ანარიცხის შეფასებისას, ხელმძღვანელობა მიმართავს განსჯას და იყენებს ამ დარგში მუშაობის წარსულ გამოცდილებას, ასევე მიმდინარე პერიოდის თავის სავაჭრო პირობებს და ინფორმაციას კონკურენტების ფასებისა და ფასდათმობების შესახებ, რათა გაარკვიოს ფოტოაპარატების ის კატეგორიები და მოდელები, რომლებიც შეიძლება წარმოადგენდეს ნელა მოძრავ მარაგებს და ამ ფოტოაპარატებისთვის განსაზღვროს სათანადო სავარაუდო სარეალიზაციო ღირებულება.</p> <p>ფოტოაპარატების სხვადასხვა მოდელისთვის კონკურენტების ფასების დასაფიქსირებლად უმცროსი თანამშრომელი ხელმძღვანელობის მეთვალყურეობით აწარმოებს ექსელის ცხრილს, რომლის განახლებაც ყოველვირეულად ხდება. ცხრილი მოიცავს 20 მილის რადიუსში მდებარე საცალო ვაჭრობის ობიექტებს და ვებგვერდის მქონე სხვა საცალო მოვაჭრეების შერჩეულ ნაკრებს, რომლებიც მწარმოებლების ადგილობრივი აგენტების ოფიციალური გარანტით ფოტოაპარატებს გასაყიდად სთავაზობენ მომხმარებლებს. (ოფიციალური გარანტიების გარეშე ფოტოაპარატების შეძენა შესაძლებელია ინტერნეტის მეშვეობით. თუმცა, ხელმძღვანელობა აცნობიერებს, რომ მათ არ შეუძლიათ ინტერნეტ-მაღაზიებისთვის კონკურენციის გაწევა ფასების საფუძველზე და მათ მონაცემებს არ ითვალისწინებს ცხრილში.)</p>

ას 540 -ის (გადასინჯული) მოთხოვნების არჩევა <sup>4</sup>	აუდიტორის ცოდნა და მიდგომა <sup>5</sup>
<ul style="list-style-type: none"> <li>iii. არჩევს გამოსაყენებელ მონაცემებს. (იხ. პუნქტი გ44)</li> <li>ბ. ადგენს შეფასების განუსაზღვრელობის დონეს, მათ შორის, შეფასების შესაძლო შედეგების დიაპაზონის განხილვის მეშ- ვეობით; და (იხ. პუნქტი გ45)</li> <li>გ. ამცირებს შეფასების განუსაზღვრელობას, მათ შორის, როგორ არჩევს რომელიმე ერთ შეფასებას და განმარტებით შენიშვნებში გასამჟღავნებელ შესაბამის ინფორმაციას ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის მიზნით; (იხ. პუნქტები გ46–გ49)</li> </ul>	<p>განუსაზღვრელობის შეფასებასთან დაკავშირებით, აუდიტორმა დაადგინა, რომ ხელმძღვანელობა განიხილავს თავისი მომზარებლებისთვის შეთავაზებული ფასდათ-მობების ოდენობას და საჭიროებს თუ არა ისინი ეტაპობრივ ზრდას დროთა განმავლობაში, რათა უზრუნველყოს წლის ბოლოს არსებული მთელი მარაგის გაყიდვა და საჭირო არ გახდეს მათი ჩამოწერა. ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რამდენი უნდა იყოს ფასდათმობა ფოტოაპარატების ცალკეული მოდელების მიხედვით, ეყრდნობა მოდელების გაყიდვების გამოცდილებას – რომელი მოდელები იყიდება ამჟამად კარგად ან ცუდად და როგორ იყიდებოდა ადრე საკუთარი და კონკურენტების მნიშვნელოვნად ფასდაკლებული ნელა მოძრავი პროდუქცია. ფასდათმობებთან დაკავშირებით გადაწ- ყვეტილებებს ათანხმებენ საწარმოს მფლობელთან და ასახავენ ექსელის (ელექტრონულ) ცხრილში. მარაგების გაუფასურება აღიარდება მაშინ, როდესაც ფოტოაპარატების მოდელებს ფასი აკლდება იმ დონეზე, რომ წერო სარეალიზაციო ღირებულება შემცირდება თვითღირებულებაზე ნაკლებ ოდენობამდე.</p> <p>ღირებულებების შესაფასებლად ხელმძღვანელობას არ სჭირდება ან არ იყენებს შეფასების მოდელებს.</p>
<ul style="list-style-type: none"> <li>ი) კონტროლის მექანიზმები, რომლებიც შესაფერისია ხელმძღვანელობის მიერ სააღრიცხვო შეფასებების გამოსათვლელად დადგენილი პროცესის აუდიტის ჩასატარებლად, როგორც ეს აღწერილია 13(თ)(ii) პუნქტში; (იხ. პუნქტები გ50–გ54)</li> </ul>	<p>კონტროლის მექანიზმები არსებობს და მუშაობს, მაგრამ მათი ხასიათი შედარებით შეზღუდულია.</p> <p>ელექტრონული ცხრილისთვის კონკურენტების ფასების შესახებ მონაცემებს აგროვებს უმცროსი თანამშრომელი. ხელმძღვანელობა განიხილავს მათ „დასაბუთებულობას“ (საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე) და თავადვე ამოწმებს ფასების შერჩევით ერთობლიობას, მათ შორის ყველა ისეთ ფასს, რომელიც, მათი აზრით, არ შეესაბამება ფასების ტიპურ მოსალოდნელ მნიშვნელობებს.</p> <p>საწარმოს მფლობელი აქტიურად არის ჩართული ფასდათმობების დონის განსაზღვრის პროცესში, რომელიც უნდა შესთავაზონ მომზარებლებს გასაყიდ ფასებზე, ასევე ანარიცხის განსაზღვრის საკითხში, როდესაც შეფასებული სარეალიზაციო ღირებულება თვითღირებულებაზე ნაკლები ხდება და მიღებულ გადაწყვეტილებას ადასტურებს ხელმოწერით.</p> <p>ფინანსური ანგარიშგებისთვის მარაგების ოდენობის გამოსათვლელად ბუღალტერი იყენებს მარაგების ჩანაწერებს, მათ შორის მონაცემებს მათი რაოდენობის, ფასებისა და ხელმძღვანელობასთან შეთანხმებული ფასდათმობების შესახებ. საწარმოს მფლობელი ამოწმებს ამ მონაცემების სისრულესა და სისწორეს.</p>

ას 540 -ის (გადასინჯული) მოთხოვნების არჩევა <sup>4</sup>	აუდიტორის ცოდნა და მიღებობა <sup>5</sup>
<p>კ) როგორ ატარებს ხელმძღვანელობა ადრინდელი სააღ-რიცხვო შეფასებების შედეგ(ებ)ის მიმოხილვას და როგორ ითვალისწინებს მიმოხილვის შედეგებს.</p>	<p>ხელმძღვანელობა ფორმალიზებული ფორმით არ აანალიზებს წინა სააღრიცხვო შეფასებების შედეგებს. საწარმოში არსებობს ფასდათმობების მიმოხილვის უწყვეტი პროცესი, რომელიც, ხელმძღვანელობის აზრით, აუცილებელია ფასდათმობის მინიმალური ოდენობის გამოსაყენებლად და, საჭიროების შემთხვევაში, დროთა განმავლობაში გასაზრდელად.</p>
<p>14. არსებითი უზუსტობების რისკების გამოსავლენად და შესაფასებლად აუდიტორმა უნდა მიმოიხილოს ადრინდელი სააღრიცხვო შეფასებების შედეგები, ან საჭიროების შემთხვევაში, მათი ხელახალი შეფასების საჭიროების საკითხი მიმდინარე პერიოდში. ამგვარი მიმოხილვის ხასიათისა და დონის დასადგენად აუდიტორმა უნდა გაითვალისწინოს კონკრეტული სააღრიცხვო შეფასებების კონკრეტული მახასიათებლები. მიმოხილვის მიზანი არ არის წინა პერიოდის სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განხორციელებული განსჯისა და მიღებული გადაწყვეტილებების ეჭვეშ დაყენება, რომელიც შესაფერისი იყო მათი გამოთვლის დროს ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე. (იხ. პუნქტები გ55–გ60)</p>	<p>აუდიტორმა ჩატარა რეალურად მიღწეული სარეალიზაციო ფასების მიმოხილვა წინა წლების ბოლოს შეფასებულ ფასებთან შედარებით და დაადგინა, რომ სხვაობა შექმნილ ანარიცხსა და მიღწეულ გასაყიდ ფასებს შორის, როგორც წესი, არსებითობის დონის ფარგლებშია.</p>
<p>15. სააღრიცხვო შეფასებებთან დაკავშირებით აუდიტორმა უნდა განსაზღვროს, გარიგების გუნდს ესაჭიროება თუ არა სპეციალური უნარ-ჩვევები ან ცოდნა რისკის შეფასების პროცედურების ჩასატარებლად, არსებითი უზუსტობის რისკების გამოსავლენად და შესაფასებლად, ამ რისკებზე რეაგირებისთვის განკუთვნილი პროცედურების შემუშავებისა და ჩატარებისთვის, ან მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებების შესაფასებლად. (იხ. პუნქტები გ61–გ63)</p>	<p>აუდიტორმა დაადგინა, რომ სპეციალური უნარები საჭირო არ იყო.</p>

ასს 540 -ის (გადასინჯული) მოთხოვნების არჩევა <sup>4</sup>	აუდიტორის ცოდნა და მიღება <sup>5</sup>
<p><b>არსებითი უზუსტობის რისკის გამოვლენა და შეფასება</b></p> <p>16. მტკიცების დონეზე სააღრიცხვო შეფასებებსა და განმარტებით შენიშვნებში გამჟღავნებულ შესაბამის ინფორმაციასთან დაკავშირებული არსებითი უზუსტობის რისკების გამოვლენისა და შეფასებისას ასს 315-ის (გადასინჯული)<sup>7</sup> მოთხოვნების შესაბამისად, აუდიტორმა ცალ-ცალკე უნდა შეაფასოს თანდაყოლილი და კონტროლის რისკები. არსებითი უზუსტობის რისკების გამოვლენისა და თანდაყოლილი რისკის შეფასებისას აუდიტორმა მხედველობაში უნდა მიიღოს შემდეგი ფაქტორები: (იხ. პუნქტები გ64–გ71)</p> <p>a) რამდენად ახდენს გავლენას სააღრიცხვო შეფასებაზე შეფასების განუსაზღვრელობა; და (იხ. პუნქტები გ72–გ75)</p> <p>b) რამდენად ზემოქმედებს სირთულე, სუბიექტურობა და სხვა თანდაყოლილი რისკფაქტორები: (იხ. პუნქტები გ76–გ79)</p> <p>(i) სააღრიცხვო შეფასების განსაზღვრისთვის მეთოდის, დაშვებებისა და მონაცემების შერჩევასა და გამოყენებაზე; ან</p> <p>(ii) ხელმძღვანელობის მიერ წერტილოვანი შეფასებისა და შესაბამისი გასამჟღავნებელი ინფორმაციის შერჩევაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის მიზნით.</p>	<p>აუდიტორმა შეაფასა, რომ ანარიცხის შეფასებისთვის არსებითი უზუსტობის თანდაყოლილი რისკი ზომიერია, იმის გათვალისწინებით, რომ:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ანარიცხის შეფასებასთან დაკავშირებული შეფასების განუსაზღვრელობა ზომიერია. ეს შეფასება ეფუძნება შედარებით მოკლე საპროგნოზო პერიოდს და წლის ბოლოს არსებული მარაგების ნაშთის უდიდესი ნაწილის 6 თვის განმავლობაში გაყიდვის მოლოდინს;</li> <li>• ხელმძღვანელობის სუბიექტურობის გავლენა და საბაზრო პირობების შესაძლო ცვლილებები, რომლებიც არ ასახავს ხელმძღვანელობის დაშვებებს, შეიძლება ახდენდეს მხოლოდ ზომიერ გავლენას;</li> <li>• არსებობს მონაცემთა დამოუკიდებელი წყაროები, რომლებსაც ხელმძღვანელობა იყენებს ფასების დასადგენად შეფასების მეთოდში გამოყენების მიზნით;</li> <li>• ხელმძღვანელობის მიერ ანარიცხის წერტილოვანი შეფასების განსასაზღვრად გამოყენებული მეთოდი შედარებით მარტივია; და</li> <li>• საჭირო გასამჟღავნებელი ინფორმაცია შეზღუდულია და მარტივად შეიძლება მისი განსაზღვრა მეთოდის გამოყენების შედეგად.</li> </ul> <p>აუდიტორმა კონტროლის რისკი შეაფასა როგორც მაღალი, რადგან სუბიექტის კონტროლის მექანიზმები შეზღუდულია და განკუთვნილი არ არის მომავლის შესახებ ისეთ დაშვებებთან დაკავშირებული არსებითი უზუსტობის რისკზე რეაგირებისთვის, რომლებიც არ გამართლდება. აუდიტორმა გაითვალისწინა რა ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული მეთოდის შედარებითი სიმარტივე, გამოყენებული მონაცემების ხასიათი და ხელმისაწვდომობა, ასევე სუბიექტის მიერ გამოყენებული სხვა კონტროლის მექანიზმების შეზღუდული ხასიათი, დაადგინა, რომ ყველაზე მიზანშეწონილია მთლიანად ძირითადი პროცედურების ჩატარების მიღობა.</p>

7. ასს 315 (გადასინჯული), პუნქტები 25-ე და 26-ე.

ასს 540 -ის (გადასინჯული) მოთხოვნების არჩევა <sup>4</sup>	აუდიტორის ცოდნა და მიდგომა <sup>5</sup>
<p>17. აუდიტორმა უნდა განსაზღვროს, მე-16 პუნქტის შესაბამისად გამოვლენილი და შეფასებული არსებითი უზუსტობის რისკებიდან რომელიმე არის თუ არა მნიშვნელოვანი რისკი, მისი აზრით.<sup>8</sup> თუ აუდიტორი დაადგენს, რომ არსებობს მნიშვნელოვანი რისკები, მან უნდა შეისწავლოს ამ რისკთან დაკავშირებული სუბიექტის შიდა კონტროლი, მათ შორის კონტროლის მექანიზმები.<sup>9</sup> (იხ. პუნქტი გ80)</p>	<p>საწარმოს საქმიანობის შესწავლის შედეგად მოპოვებული ინფორმაციისა და არსებული საბაზრო პირობების გააზრების საფუძველზე აუდიტორმა მარაგების გაუფასურების ანარიცხის შეფასებასთან დაკავშირებული არსებითი უზუსტობის რისკი არ მიიჩნია მნიშვნელოვან რისკად.</p>
<p><b>არსებითი უზუსტობის შეფასებულ რისკებზე რეაგირება</b></p>	
<p>18. ასს 330-ის<sup>10</sup> მოთხოვნების თანახმად, აუდიტორის დამატებითი პროცედურები უნდა მიესადაგებოდეს კონკრეტული მტკიცების დონეზე<sup>11</sup> შეფასებულ არსებითი უზუსტობის რისკებს და ითვალისწინებდეს მიზეზებს, რის გამოც აუდიტორმა ამ რისკებს მიანიჭა მოცემული შეფასება. აუდიტორის დამატებითი აუდიტის პროცედურები უნდა მოიცავდეს ერთ ან მეტ ქვემოთ განხილულ მიდგომას:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ა) აუდიტის მტკიცებულებების მოპოვებას აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მომხდარი მოვლენებიდან; (იხ. 21- პუნქტი)</li> <li>ბ) ტესტირების ჩატარებას იმის დასადგენად, როგორ განსაზღვრა ხელმძღვანელობამ კონკრეტული სააღრიცხვო შეფასება; (იხ. 22-27-ე პუნქტები); ან</li> <li>გ) აუდიტორის მიერ წერტილოვანი შეფასების ან შეფასებების დიაპაზონის განსაზღვრას. (იხ. 28-29-ე პუნქტები)</li> </ul>	<p>აუდიტორმა დაადგინა, რომ ყველაზე შესაფერისი დამატებითი აუდიტის პროცედურები, პირველ რიგში, არის იმის შემოწმება (ტესტირება), თუ როგორ გამოითვალა ხელმძღვანელობამ სააღრიცხვო შეფასება, ასევე აუდიტის მტკიცებულებების მოპოვება აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მომხდარი მოვლენებიდან.</p> <p>ამგვარად, მე -18 (ბ) პუნქტთან დაკავშირებით ჩატარებული დამატებითი აუდიტის პროცედურების შედეგის გათვალისწინებით, აუდიტორმა დაასკვნა, რომ აუცილებელი არ იყო, თვითონ განსაზღვრა სააღრიცხვო შეფასებისთვის წერტილოვანი შეფასება ან შეფასებების დიაპაზონი.</p>

8. ასს 315 (გადასინჯული), 27-ე პუნქტი.

9. ასს 315 (გადასინჯული), 29-ე პუნქტი.

10. ასს 330, მე-6-15 და მე-18 პუნქტები.

11. ასს 330, მე-6-7 და 21-ე პუნქტები.

ასს 540 -ის (გადასინჯული) მოთხოვნების არჩევა <sup>4</sup>	აუდიტორის ცოდნა და მიღება <sup>5</sup>
<p>აუდიტორის დამატებითი აუდიტის პროცედურები უნდა ითვალისწინებდეს, რომ რაც უფრო მაღალია შეფასებული არსებითი უზუსტობის რისკი, მით უფრო სარწმუნო უნდა იყოს მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები.<sup>12</sup> აუდიტორმა იმგვარად უნდა დაგევმოს და ჩაატაროს დამატებითი აუდიტის პროცედურები, რომ ისინი განზრას არ იყოს მიმართული ისეთი აუდიტის მტკიცებულებების მოპოვებაზე, რომელთა დადასტურებაც შესაძლებელია, ან ისეთი აუდიტის მტკიცებულებების გამორიცხვაზე, რომლებიც შეიძლება წინააღმდეგობაში მოდიოდეს სხვა მტკიცებულებებთან. (იხ. პუნქტიები გ81–გ84)</p>	
<p>აუდიტის მტკიცებულებების მოპოვება აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მომხდარი მოვლენებიდან</p> <p>21. როდესაც აუდიტორის დამატებითი აუდიტის პროცედურები აუდიტის მტკიცებულებების მოპოვებას ითვალისწინებს აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მომხდარი მოვლენებიდან, აუდიტორმა უნდა შეაფასოს, ამგვარი აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია თუ არა მოცემულ სააღრიცხვო შეფასებასთან დაკავშირებული არსებითი უზუსტობის რისკებზე რეაგირებისთვის, რის-თვისაც მხედველობაში უნდა მიიღოს ის ფაქტი, რომ</p>	<p>აუდიტორმა გააანალიზა პროფესიონალური, სამოყვარულო და სამომხმარებლო ფოტოაპარატების თითოეული მოდელი, შედარებით ნელა მოძრავი/გაყიდვადი ფოტოაპარატების მოდელების დასადგენად, გაითვალისწინა რა:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• თითოეული ფოტოაპარატის წლიური გაყიდვები;</li> <li>• მარაგები წლის ბოლოს;</li> <li>• გაყიდვები წლის ბოლოს და ტესტირების თარიღს შორის პერიოდში, ფასდათმობების დონეების ჩათვლით; და</li> <li>• ტესტის თარიღისთვის არსებული მარაგები.</li> </ul>

12. ასს 330, 7(ბ) პუნქტი.

ასს 540 -ის (გადასინჯული) მოთხოვნების არჩევა <sup>4</sup>	აუდიტორის ცოდნა და მიდგომა <sup>5</sup>
<p>მოცემულ მოვლენასა და შეფასების თარიღს შორის პერიოდში გარემოებებსა და სხვა შესაფერის პირობებში მომხდარი ცვლილებები შესაძლოა გავლენას ახდენდეს ამგვარი აუდიტის მტკიცებულებების რელევანტურობაზე ფინანსური ანგარიშების წარდგენის სათანადო საფუძვლების მოთხოვნების კონტექსტში. (იხ. პუნქტები გ91–გ93)</p>	<p>საკმარისი და შესაფერისი აუდიტის მტკიცებულებები წლის განმავლობაში განხორციელებული გაყიდვებისა და წლის ბოლოს არსებული მარაგების დონის შესახებ აუდიტორმა მოიპოვა ფინანსური ანგარიშების სხვა ნაწილების აუდიტის ჩატარების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებებიდან. აუდიტორმა შეიმუშავა და ჩატარა დამატებითი ძირითადი პროცედურები საკმარისი და შესაფერისი აუდიტის მტკიცებულებების მოსაპოვებლად საანგარიშებო წლის დასრულების შემდგომი პერიოდის გაყიდვებისა და ფასდათმობების შესახებ. ამ პროცედურების შედეგად აუდიტორმა დაადგინა, რომ საანგარიშებო თარიღის შემდეგ გაყიდული ფოტოაპარატებისთვის გაუფასურების ანარიცხი არ იყო არსებითად მცდარი (არ შეიცვალა არსებით უზუსტობას). გარდა ამისა, აუდიტორმა დაადგინა, რომ სუბიექტი კვლავ ფლობს ფოტოაპარატების ისეთ მოდელებს, რომლებიც მარაგებში იყო წლის ბოლოს და რომელთათვისაც გაუფასურების ანარიცხი არსებითად.</p>
<p>სააღრიცხვო შეფასების გამოსათვლელად ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული პროცესის ტესტირება</p> <p>22. როდესაც აუდიტორი ხელმძღვანელობის მიერ სააღრიცხვო შეფასების გამოსათვლელად გამოყენებული პროცესის ტესტირებას ატარებს, დამატებითი აუდიტის პროცედურები უნდა მოიცავდეს 23-26-ე პუნქტების შესაბამისად შემუშავებულ და ჩატარებულ პროცედურებს, რათა აუდიტორმა საკმარისი და შესაფერისი აუდიტის მტკიცებულებები მოიპოვოს არსებითი უზუსტობის რისკების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია: (იხ. პუნქტი გ94)</p>	<p>ხელმძღვანელობასთან მათი მიდგომის განხილვის მეშვეობით, აუდიტორმა დაადგინა, რომ ხელმძღვანელობა:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ესწრება გამოფენა-გაყიდვებს, რათა ინფორმირებული იყოს ხოლმე ახალი პროდუქტების სავარაუდო მოთხოვნის შესახებ, რომლის მასობრივი წარმოების დაწყებასაც აპირებენ;</li> <li>• იხილავს კონკურენტების რეკლამას იმის გასაგებად, ფოტოაპარატის რომელ მოდელზე სთავაზობენ კონკურენტები ფასდაკლებას.</li> <li>• იყენებს ამ დარგში საკუთარ გამოცდილებას იმის დასაგენად, თუ რა მოცულობის ანარიცხი უნდა შეიქმნას ნელა გაყიდვადი საქონლის საბალანსო ღირებულებისთვის.</li> </ul> <p>განხილვის შედეგად აუდიტორმა დაადგინა ფოტოაპარატების მოდელები, რომლისთვისაც ხელმძღვანელობამ შექმნა ანარიცხი, ასევე ის მოდელებიც, რომლებიც განიხილა ხელმძღვანელობამ, მაგრამ ანარიცხი არ შეუქმნია. ჩატარებული განხილვების დროს გათვალისწინებული იყო ტესტირების თარიღამდე მომხდარი მოვლენებისა და საანგარიშებო თარიღის შემდგომი გაყიდვების შესახებ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები, ნელა გაყიდვადი და უკვე ფასდაკლებული ფოტოაპარატების მოდელების გამოსავლენად, ასევე კომპანიის ახალი ძირითადი პროცედურების შესახებ ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული განცხადებები, რასაც შეიძლება გავლენა მოეხდინა წლის ბოლოს მარაგებში არსებული ფოტოაპარატების მიმზიდველობაზე.</p>

ას 540 -ის (გადასინჯული) მოთხოვნების არჩევა <sup>4</sup>	აუდიტორის ცოდნა და მიდგომა <sup>5</sup>
<p>ა) იმ მეთოდების, მნიშვნელოვანი დაშვებებისა და მონაცემების შერჩევასა და გამოყენებასთან, რომლებიც ხელმძღვანელობამ გამოიყენა სააღრიცხვო შეფასებების გამოსათვლელად; და</p> <p>ბ) იმ მეთოდთან, რომლის გამოყენებითაც ხელმძღვანელობამ შეარჩია წერტილოვანი შეფასება და ჩამოაყალიბა განმარტებით შენიშვნებში გასამჟღავნებელი შესაბამისი ინფორმაცია შეფასების განუსაზღვრელობის შესახებ.</p>	
<p>მეთოდები</p> <p>23. მეთოდებთან მიმართებით 22-ე პუნქტის მოთხოვნების გამოყენებისას, აუდიტორის დამატებითი აუდიტის პროცედურები მიმართული უნდა იყოს იმის დადგენაზე:</p> <p>ა) შერჩეული მეთოდი ან, როდესაც შესაფერისია, წინა პერიოდებში გამოყენებული მეთოდის შეცვლა მისაღებია თუ არა ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლების მოთხოვნების შესაბამისად; (იხ. პუნქტები გ95, გ97)</p> <p>ბ) მეთოდის შესარჩევად განხორციელებული განსჯა ხომ არ შეიცავს ხელმძღვანელობის შესაძლო მიკერძოების ნიშნებს; (იხ. პუნქტი გ96)</p> <p>გ) გამოთვლები ჩატარდა თუ არა მეთოდის შესაბამისად და მათემატიკურად სწორია თუ არა;</p>	<p>აუდიტორმა დაასკვნა, რომ ხელმძღვანელობის მეთოდი შესაფერისია იმის დასადგენად, არის თუ არა ნეტო სარეალიზაციო ღირებულება თვითდირებულებაზე ნაკლები და დაადგინა, ფოტოაპარატის რომელ მოდელებთან დაკავშირებით ქმნის ხელმძღვანელობა ანარიცხს ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლების შესაბამისად. აუდიტორმა ასევე დაასკვნა, რომ მეთოდის არჩევისას ხელმძღვანელობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არ მიანიშნებს მის შესაძლო მიკერძოებაზე, რადგან ხელმძღვანელობის მიერ შერჩეული და გამოყენებული მეთოდი ამ დარგში მიღებული პრაქტიკა და აუდიტორი დაეთანხმა მის მიზანშეწონილობას მოცემულ გარემოებებში.</p> <p>აუდიტორმა განსაზღვრა და ჩაატარა ძირითადი პროცედურები, რის შედეგადაც მოიპოვა მტკიცებულებები მეთოდში გამოყენებული გამოთვლების მათემატიკური სისწორის შესახებ.</p> <p>მეთოდი არ გულისხმობს მოდელირებას.</p>

ას 540 -ის (გადასინჯული) მოთხოვნების არჩევა <sup>4</sup>	აუდიტორის ცოდნა და მიღება <sup>5</sup>
<p>დ) როდესაც ხელმძღვანელობის მეთოდის გამოყენება რთულ მოდელირებას საჭიროებს, თანამიმდევრულად გამოიყენა თუ არა ხელმძღვანელობამ განსჯა და, როდესაც შესაფერისია: (იხ. პუნქტი გ98–გ100)</p> <ul style="list-style-type: none"> <li>(i) მოდელის კონსტრუქცია, რომელიც აკმაყოფილებს ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლებით გათვალისწინებულ შეფასების მიზანს, მოცემული გარემოებებისთვის შესაფერისია თუ არა, ან წინა პერიოდის მოდელში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში – მოდელის ცვლილება შეესაბამება თუ არა მოცემულ გარემოებებს; და</li> <li>(ii) მოდელის შედეგში შეტანილი კორექტირებები შეესაბამება თუ არა ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლებით გათვალისწინებულ შეფასების მიზანს და ასევე მოცემულ გარემოებებს; და</li> </ul> <p>ე) მეთოდის გამოყენებისას შენარჩუნებული იყო თუ არა მნიშვნელოვანი დაშვებებისა და მონაცემების მთლიანობა.</p> <p>(იხ. პუნქტი გ101)</p>	<p>აუდიტორმა ასევე განსაზღვრა და ჩაატარა ძირითადი პროცედურები, რის საფუძველზეც მოიპოვა მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ მეთოდის გამოყენებისას შენარჩუნებული იყო ხელმძღვანელობის დაშვებებისა და გამოყენებული მონაცემების მთლიანობა და სისწორე.</p>
<p>მნიშვნელოვანი დაშვებები</p> <p>24. მნიშვნელოვან დაშვებებთან მიმართებით 22-ე პუნქტის მოთხოვნების გამოყენებისას, აუდიტორის დამატებითი აუდიტის პროცედურები მიმართული უნდა იყოს იმის დადგენაზე:</p>	<p>აუდიტორმა დაადგინა, რომ ხელმძღვანელობისა და მესაკუთრის მიერ განსაზღვრული მნიშვნელოვანი დაშვებები და ფასდათმობების უკვე გამოყენებული ან მომავალში გამოსაყენებელი დონეები შესაძლებელს გახდის დროთა განმავლობაში მარაგების გაყიდვას დაგეგმილ ფასად; ცნობილი ახალი პროდუქტის გამოშვება ხელს არ შეუშლის მარაგების გაყიდვას არსებული ან დაგეგმილი ფასდაკლებით; საწარმო არ აპირებს სხვა, უცნობი, ახალი პროდუქტის გამოშვებას, არც საბაზრო პირობების იმგვარად შეცვლაა მოსალოდნელი, რამაც შეიძლება მნიშვნელოვნად იმოქმედოს წლის ბოლოს არსებული მარაგების გაყიდვებზე.</p>

ასს 540 -ის (გადასინჯული) მოთხოვნების არჩევა <sup>4</sup>	აუდიტორის ცოდნა და მიდგომა <sup>5</sup>
<p>ა) მნიშვნელოვანი დაშვებები, ან, როდესაც შესაფერისია, წინა პერიოდების შემდეგ მათში შეტანილი ცვლილებები მისაღებია თუ არა ფინანსური ანგარიშების წარდგენის სათანადო საფუძვლების მოთხოვნების შესაბამისად; (იხ. პუნქტი გ95, გ102–გ103)</p> <p>ბ) მნიშვნელოვანი დაშვებების შესარჩევად განხორციელებული განსჯა ხომ არ შეიცავს ხელმძღვანელობის შესაძლო მიკერძოების ნიშნებს; (იხ. პუნქტი გ96)</p> <p>გ) მნიშვნელოვანი დაშვებები შესაბამისობაშია თუ არა ერთმანეთთან და სხვა სააღრიცხვო შეფასებებში, ან სუბიექტის სამეწარმეო საქმიანობის სხვა სფეროებში გამოყენებულ დაკავშირებულ დაშვებებთან, აუდიტის პროცესში აუდიტორის მიერ შეძენილი ცოდნის საფუძველზე; და (იხ. პუნქტი გ104)</p> <p>დ) როდესაც შესაფერისია, ხელმძღვანელობას განზრანული აქვს თუ არა რაიმე კონკრეტული ზომების მიღება და აქვს თუ არა მათი განხორციელების შესაძლებლობა. (იხ. პუნქტი გ105)</p>	<p>აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მომხდარი მოვლენების შესახებ მტკიცებულებების მოსაპოვებლად ჩატარებული პროცედურების შედეგების გათვალისწინებით (იხ. ზემოთ) აუდიტორმა შეიმუშავა და ჩატარა დამატებითი პროცედურები მტკიცებულებების მოსაპოვებლად შემდეგი საკითხების შესახებ:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• შედარება წინა წლების ტენდენციებთან; და</li> <li>• ფოტოგრაფიის შესახებ არსებული ჟურნალებისა და ვებგვერდების მიმოხილვა ფოტოაპარატების მოდელებთან დაკავშირებული ინფორმაციის მისაღებად; აუდიტორმა დაადგინა, რომ: <ul style="list-style-type: none"> <li>○ დაშვებები ფინანსური ანგარიშების სათანადო საფუძვლების კონტექსტის შესაფერისია და შესაბამება წინა წლების დაშვებების განსაზღვრისთვის გამოყენებულ საფუძველს, ასევე შესაბამება იმ დაშვებებსაც, რომლებიც გამოყენებულია მომდევნო წლის ბიუჯეტისთვის;</li> <li>○ დასაბუთებული ჩანს ხელმძღვანელობის არგუმენტები ფოტოაპარატების სხვადასხვა მოდელისთვის (ან განსხვავებული მასასიათებლების მქონე ფოტოაპარატის მოდელებისთვის, მაგალითად ფერი) დაგეგმილი ფასდათმობების შესახებ;</li> <li>○ არსებობდა მტკიცებულება ხელმძღვანელობის შესაძლო მიკერძოების შესახებ, კერძოდ, რაც გამოიხატებოდა ფოტოაპარატის ორ მოდელთან დაკავშირებული ანარიცხის შემცირებით, რის გამოც დამატებითი ტესტირება ჩატარდა ამ ფოტოაპარატებთან მიმართებით; (იხ. ქვემოთ)</li> <li>○ ფოტოაპარატის იმ მოდელებთან დაკავშირებით, რომლისთვისაც შექმნილია მარაგების გაუფასურების ანარიცხი, არსებობს მტკიცებულება, რომ ხელმძღვანელობა ამ ფოტოაპარატების გაყიდვას ცდილობს და ყიდის შემცირებულ ფასად, თუმცა, აუდიტორის აზრით, აუცილებელი არ არის ფოტოაპარატების ამ მოდელების ფასების შემცირება დაგეგმილზე მეტად.</li> </ul> </li> </ul>

ას 540 -ის (გადასინჯული) მოთხოვნების არჩევა <sup>4</sup>	აუდიტორის ცოდნა და მიდგომა <sup>5</sup>
<p>მონაცემები</p> <p>25. მონაცემებთან მიმართებით 22-ე პუნქტის მოთხოვნების გამოყენებისას, აუდიტორის დამატებითი აუდიტის პროცედურები მიმართული უნდა იყოს იმის დადგენაზე:</p> <p>ა) მოცემული მონაცემები, ან, როდესაც შესაფერისა, წინა პერიოდების შემდეგ მათში შეტანილი ცვლილებები მისაღებია თუ არა ფინანსური ანგარიშების წარდგენის სათანადო საფუძვლების მოთხოვნების შესაბამისად; (იხ. პუნქტი გ95, გ106);</p> <p>ბ) მონაცემების შესარჩევად განხორციელებული განსჯა ხომ არ შეიცავს ხელმძღვანელობის შესაძლო მიკერძოების ნიშნებს; (იხ. პუნქტი გ96)</p> <p>გ) მონაცემები რელევნტური და საიმედოა თუ არა მოცემულ გარემოებებში; და (იხ. პუნქტი გ107)</p> <p>დ) ხელმძღვანელობამ სწორად გაიგო თუ არა მონაცემები, მათ შორის სახელშეკრულებო პირობებთან დაკავშირებული; (იხ. პუნქტი გ108)</p>	<p>აუდიტორმა შეაფასა, რომ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული მონაცემები ფინანსური ანგარიშების წარდგენის სათანადო საფუძვლების კონტექსტის შესაფერისა. აუდიტორის მიერ შემუშავებული და ჩატარებული პროცედურების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებები მოწმობს, რომ ეს მონაცემები რელევანტური და საიმედოა და სათანადოდ გასაგებია ხელმძღვანელობისთვის, მათ შორის:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• გაყიდვებისა და მარაგების მაჩვენებლები შეესაბამება სუბიექტის სააღრიცხვო ჩანაწერებს, რომელთან დაკავშირებითაც მიღებულია საკმარისი და შესაფერისი აუდიტის მტკიცებულებები სხვა ჩატარებული პროცედურების შედეგად;</li> <li>• საწყისი ფასების მონაცემები შეესაბამება მომწოდებლების ანგარიშ-ფაქტურებსა და მათთვის გადახდილ თანხებს;</li> <li>• ცხრილში წარმოდგენილი ინფორმაცია კონკურენტის ფასების შესახებ, რომელსაც ხელმძღვანელობა იყენებს დაშვებების განსაზღვრისა და ფასდათმობების დაგეგმვისას, თანხვდება ჟურნალისა და ვებგვერდის რეკლამებს;</li> <li>• ხელმძღვანელობის ხელთ არსებული ინფორმაცია ფოტოაპარატების დაგეგმილი ახალი მოდელების შესახებ, რომლებიც ბაზარზე შემოდის, განმტკიცებულია თავად მწარმოებლის ინფორმაციით;</li> <li>• არ არსებობს მტკიცებულება ხელმძღვანელობის შესაძლო მიკერძოების შესახებ, რომელიც დაკავშირებული იქნებოდა მონაცემთა წყაროების შერჩევასთან.</li> </ul>
<p>ხელმძღვანელობის მიერ წერტილოვანი შეფასებისა და შეფასების განუსაზღვრელობის შესახებ განმარტებით შენიშვნებში გასამჟღავნებელი შესაბამისი ინფორმაციის შერჩევა</p> <p>26. 22-ე პუნქტის მოთხოვნების გამოყენებისას, აუდიტორის დამატებითი აუდიტის პროცედურები მიმართული უნდა იყოს იმის დადგენაზე, ხელმძღვანელობამ, ფინანსური ანგარიშების წარდგენის სათანადო საფუძვლების მოთხოვნების გათვალისწინებით, სათანადო ზომები მიიღო თუ არა:</p>	<p>აუდიტორისთვის ცნობილი იყო, რომ ფინანსური ანგარიშების წარდგენის სათანადო საფუძვლები მოითხოვდა სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებას ფინანსური ანგარიშების შენიშვნებში, მაგრამ ამ ზომისა და ხასიათის საწარმოსთვის არ მოითხოვდა ინფორმაციის გამჟღავნება შეფასების განუსაზღვრელობის ან მასზე მოქმედი ფაქტორების შესახებ.</p>

ასს 540 -ის (გადასინჯული) მოთხოვნების არჩევა <sup>4</sup>	აუდიტორის ცოდნა და მიდგომა <sup>5</sup>
<p>ა) შეფასების განუსაზღვრელობის გამოსაკვლევად; და (იხ. პუნქტი გ109)</p> <p>ბ) შეფასების განუსაზღვრელობის შესამცირებლად სათანადო წერტილოვანი შეფასების შერჩევითა და შეფასების განუსაზღვრელობის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის გამედავნებით განმარტებით შენიშვნებში. (იხ. პუნქტები გ110–გ114)</p>	<p>აუდიტორმა დაასკვნა, რომ ფოტოაპარატების უმეტესი მოდელებისთვის, რომლისთვისაც საჭიროა ანარიცხი, მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული მეთოდის საფუძველზე. ხელმძღვანელობას შემუშავებული არ ჰქონდა ფასდათმობების შესაძლო ვარიანტებისთვის სავარაუდო შედეგების დიაპაზონი, რომლის გამოყენებაც შესაძლებელი იქნებოდა საბოლოოდ, რადგან, მათი აზრით, ასეთი ვარიანტების რაოდენობა შეზღუდული იქნება, თუკი იარსებებს და ეს მნიშვნელოვან გავლენას ვერ მოახდენს ანარიცხის შეფასებაზე. აუდიტორმა დაადგინა, რომ შეფასების განუსაზღვრელობის შესასწავლად და გასაცნობირებლად ხელმძღვანელობამ თანმიმდევრულად გაითვალისწინა კონკურენტის ფასები, ორი გამონაკლისის გარდა.</p> <p>აუდიტორმა ჩატარა მგრძნობელობის ანალიზი ფოტოაპარატების შერჩევითი ერთობლიობის ფასებზე და დაასკვნა, რომ გონივრული იყო ხელმძღვანელობის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ შეზღუდული იქნება ასეთი ვარიანტები და ისინი მნიშვნელოვან გავლენას არ მოახდენს ანარიცხის შეფასებაზე.</p>
<p>27. თუ მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით აუდიტორი გადაწყვეტს, რომ ხელმძღვანელობამ სათანადო ზომებს არ მიმართა შეფასების განუსაზღვრელობის გამოსაკვლევად ან შესამცირებლად, აუდიტორმა უნდა: (იხ. პუნქტები გ115–გ117)</p> <p>ა) მოსთხოვოს ხელმძღვანელობას დამატებითი პროცედურების ჩატარება შეფასების განუსაზღვრელობის გამოსაკვლევად ან მის შესამცირებლად, თავისი შერჩეული წერტილოვანი შეფასების გადახედვით, ან შეფასების განუსაზღვრელობის შესახებ დამატებითი ინფორმაციის გამედავნების საჭიროების საკითხის განხილვით და ამის შემდეგ შეაფასოს ხელმძღვანელობის მიერ 26-ე პუნქტის შესაბამისად განხორციელებული საპასუხო ქმედება (ქმედებები);</p>	<p>აუდიტორმა გამოავლინა ფოტოაპარატების ორი მოდელი, რომლებსაც კონკურენტები ყიდიან ხელმძღვანელობის მიერ შემცირებულ ფასზე უფრო დაბალ ფასად, რაც გათვალისწინებული არ იყო ხელმძღვანელობის მიერ მარაგების გაუფასურების ანარიცხში და ხელმძღვანელობის დასტურიც მოიპოვა ამის თაობაზე. ამ მოდელებთან დაკავშირებით აუდიტორმა დაასკვნა, რომ ხელმძღვანელობის შეფასება ზედმეტად ოპტიმისტური იყო, რადგან ერთი თვის განმავლობაში არცერთი ასეთი მოდელი არ იყო გაყიდული და, სავარაუდოდ, საჭირო იყო შემდგომი ფასდაკლება.</p> <p>ფოტოაპარატების ამ ორ მოდელთან დაკავშირებით, აუდიტორმა ხელმძღვანელობასთან განიხილა ანარიცხის შექმნის მიზეზები და აუდიტის შედეგად გამოვლენილი ფაქტები. შედეგად, ხელმძღვანელობა დაეთანხმა, რომ საჭირო იყო ანარიცხის შექმნა აღნიშნული მოდელებისთვის.</p>

ას 540 -ის (გადასინჯული) მოთხოვნების არჩევა <sup>4</sup>	აუდიტორის ცოდნა და მიღების მიზანი <sup>5</sup>
<p>ბ) განსაზღვროს საკუთარი (აუდიტორის) წერტილოვანი შეფასება ან შეფასებების დიაპაზონი 28-29-ე პუნქტების შესაბამისად, თუ აუდიტორი დაადგენს, რომ მისი მოთხოვნის საპასუხოდ ხელმძღვანელობის მიერ მიღებული ზომა შეფასების განუსაზღვრელობას საკმარისად არ ამცირებს, შესაძლებლობის ფარგლებში; და</p> <p>გ) შეაფასოს, არსებობს თუ არა შიდა კონტროლის რაიმე ნაკლოვანება, ხოლო თუ არსებობს, ამ საკითხის ინფორმირება განახორციელოს ას 265-ის მოთხოვნების შესაბამისად.<sup>13</sup></p>	<p>აუდიტორმა მგრძნობელობის ანალიზი ჩატარა სხვა ფოტოაპარატების შერჩევითი ერთობლიობის ფასთან მიმართებით (იხ. ზემოთ) და ანალიზის შედეგად დასკვნა, რომ გამოვლენილი ფაქტი არ წარმოადგენდა შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებას და ხელმძღვანელობას არ სჭირდებოდა დამატებითი პროცედურების ჩატარება.</p>

13. ას 265 – „მეთვალყურეობაზე პაუზისმგებელი პარეგბისა და ხელმძღვანელობის ინფორმირება შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ“.

**მე-2 მაგალითი - ასს 540-ის (გადასინჯული) შერჩეული ასპექტების გამოყენება ძირითადი საშუალებების გაუფასურების ანარიცხის მიმართ**

**მოცემულობა**

სუბიექტი აწარმოებს და მთელი მსოფლიოს მასშტაბით ყიდის დაბალი და საშუალო ფასის სამომხმარებლო ფოტოაპარატებს. წარმოება ერთ ადგილზე მიმდინარეობს, ხოლო მომხმარებლებსა და დისტრიბუტორებზე რეალიზაცია საზღვარგარეთ ხორციელდება. პერიოდის განმავლობაში ისევ გრძელდება საწარმოზე უარყოფითი გავლენის მქონე ზოგიერთი მნიშვნელოვანი ცვლილება, ვინაიდან მობილური ტელეფონების ფუნქციებში პროგრამირებული სამომხმარებლო ფოტოაპარატების შესაძლებლობების გაუმჯობესება ამცირებს სამომხმარებლო ფოტოაპარატების გაყიდვების მოცულობას და ფასებს, რაც, თავის მხრივ, ამცირებს სუბიექტის ამონაგებს და მომგებიანობის დონეს. ხელმძღვანელობამ უარყოფითი საბაზრო პირობები მიიჩნია იმის ნიშნად, რომ სამომხმარებლო ფოტოაპარატების საწარმოებლად გამოყენებული ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება გაუფასურებული იყოს. ამის გამო, პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობამ შეაფასა შესაბამისი ძირითადი საშუალებების ანაზღაურებადი ღირებულება.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლები ეფუძნება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს. შესაბამისად, მოითხოვება, რომ საწარმომ შეაფასოს შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება, როდესაც არსებობს ნიშანი იმისა, რომ აქტივი შეიძლება გაუფასურებული იყოს პერიოდის ბოლოს.<sup>14</sup> აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იზომება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი თანხით.<sup>15</sup> თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, მაშინ აქტივის საბალანსო ღირებულება შემცირდება ამ სხვაობის ტოლი თანხით, ხოლო სხვაობა აღიარდება, როგორც გაუფასურების ზარალი.<sup>16</sup> ბასს 36, სხვასთან ერთად, მოითხოვს სხვადასხვა სახის ინფორმაციის გამუდავნებას და გარემოებების შესახებ, რომლებმაც გაუფასურება გამოიწვია, ასევე ანაზღაურებადი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მეთოდების ელემენტების შესახებ.

სუბიექტი არ ფუნქციონირებს რეგულირებად სექტორში.

14. ბასს 36 – „აქტივების გაუფასურება“, მე-9 პუნქტი.

15. ბასს 36, მე-18 პუნქტი.

16. ბასს 36, 59-ე პუნქტი.

## ას 540 -ის (გადასინჯული) გამოყენება

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია აუდიტორის ცოდნისა და მიღვომის საილუსტრაციო მაგალითები, რომელთა გამოყენება შესაძლებელია ას 540 -ის (გადასინჯული) შერჩეულ მოთხოვნებთან მიმართებით. ეს მასალა არ ეხება სტანდარტის ყველა მოთხოვნას. შეიძლება არსებობდეს სხვა მოვლენები, პირობები ან ფაქტორები, რომლებიც მსგავსი სუბიექტის აუდიტის სპეციფიკური გარემოებებისთვის რელუვანტური იქნება და ამიტომ შესაძლოა აუცილებელი გახდეს მათი განხილვაც.

ას 540 -ის (გადასინჯული) მოთხოვნების არჩევა <sup>17</sup>	აუდიტორის ცოდნა და მიღვომა <sup>18</sup>
<b>რისკის შეფასების პროცედურები და დაკავშირებული ქმედებები</b>	
13. ას 315-ის (გადასინჯული) <sup>19</sup> მოთხოვნების შესაბამისად სუბიექტისა და მისი გარემოს, მათ შორის, შიდა კონტროლის შესწავლის პროცესში აუდიტორმა სუბიექტის სააღრიცხვო შეფასებებთან დაკავშირებით უნდა შეისწავლოს ქვემოთ აღწერილი საკითხები. ამ მიზნით აუდიტორმა ისეთი მოცულობის პროცედურები უნდა ჩაატაროს, რაც აუცილებელია სათანადო საფუძვლის შესაქმნელად არსებითი უზუსტობის რისკების გამოვლენისა და შეფასებისთვის ფინანსური ანგარიშებისა და ცალკეული მტკიცების დონეზე. (იხ. პუნქტები გ19-გ22)	<p>აუდიტორმა ჩაატარა რისკის შეფასების პროცედურები სუბიექტისა და მისი გარემოს შესასწავლად, მათ შორის პროცედურები სააღრიცხვო შეფასებებთან დაკავშირებით:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• გაეცნო წინა პერიოდის აუდიტის სამუშაო დოკუმენტებს და წინა პერიოდის ფინანსურ ანგარიშებას;</li> <li>• შეისწავლა საბჭოს და კომიტეტის სხდომების ოქმები;</li> <li>• გამოკითხვის პროცედურის მეშვეობით გაარკვია, ხელმძღვანელობიდან ვის ეკისრებოდა სათანადო პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშებაზე;</li> <li>• ჩაატარა რისკების შეფასების ანალიზი;</li> <li>• ჩაატარა თავიდან ბოლომდე გავლის ტესტი ხელმძღვანელობის მიერ დადგენილ პროცესებზე, რომლებიც განკუთვნილია სააღრიცხვო შეფასებების გამოსათვლელად; ასევე</li> <li>• გამოიყენა თავისი ცოდნა იმ დარგის შესახებ, რომელშიც საწარმო ფუნქციონირებს, მათ შორის ინფორმაცია, რომელიც მოპოვებული ჰქონდა ფოტოპარატების წარმოების დარგის სხვა სუბიექტებისთვის ჩატარებული აუდიტის შედეგად და კომერციული პუბლიკაციებიდან, ასევე სხვა მწარმოებლების მიერ საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაციიდან.</li> </ul>

17. მიმართეთ სტანდარტის გამოყენებისა და სხვა ახსნა-განმარტებითი მასალის შესაბამის ნაწილს.

18. ამ სვეტში განხილული მასალა გამიზნულია მხოლოდ მოცემული მაგალითის შესაძლო შედეგების საილუსტრაციოდ და არ მოიცავს ყველა შესაძლო შედეგს.

19. ას 315 (გადასინჯული), პუნქტები მე-3, მე-5-6, მე-9, მე-11-12, მე-15-17 და 20-21-ე.

ას 540 -ის (გადასინჯული) მოთხოვნების არჩევა <sup>17</sup>	აუდიტორის ცოდნა და მიდგომა <sup>18</sup>
<p>სუბიექტი და მისი გარემო</p> <p>(ა) სუბიექტის ოპერაციები, სხვა მოვლენები და პირობები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს სააღრიცხვო შეფასებების ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარების ან ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში გამჟღავნების საჭიროება, ან სააღრიცხვო შეფასებების შეცვლა; (იხ. პუნქტი გ23)</p>	<p>რისკის შეფასების პროცედურების ჩატარების შედეგად აუდიტორმა დაადგინა, რომ მიმდინარე პერიოდის განმავლობაში სწრაფად გაუარესდა საბაზრო პირობები, რაც ძირითადად განაპირობა ბაზარზე გაუმჯობესებული ფოტო შესაძლებლობების მქონე მობილური მოწყობილობების გამოჩენამ. ამის გამო, სუბიექტის ამონაგებმა და შემოსულობებმა ვერ დააკმაყოფილა საბიუჯეტო სამიზნე მაჩვენებლები, წინა წლებთან შედარებით მათი შემცირების მიუხედავად, რამაც გავლენა იქონია რამდენიმე, მათ შორის ძირითადი საშუალებების შეფასებაზე.</p>
<p>(ბ) ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლების მოთხოვნები, რომლებიც სააღრიცხვო შეფასებებს ეხება (მათ შორის, აღიარების კრიტერიუმები, შეფასების საფუძველი და მათ წარდგენასა და ახსნა-განმარტებასთან დაკავშირებული მოთხოვნები); ასევე როგორ გამოიყენება ისინი მოცემული სუბიექტისა და მისი გარემოს სპეციფიკისა და გარემოებების გათვალისწინებით, მათ შორის რა გავლენას ახდენს თანდაყოლილი რისკფაქტორები სუბიექტის ოპერაციებსა და სხვა მოვლენებსა თუ პირობებზე; (იხ. პუნქტები გ24-გ25)</p>	<p>აუდიტორი გაეცნო ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლების დეტალურ მოთხოვნებს, კერძოდ, ბასს 36-სა და შესაბამის მითითებებს, ასევე აუდიტორული ფირმის მიერ შემუშავებულ დამხმარე პრაქტიკულ ინსტრუქციებს.</p> <p>ბასს 36 მოითხოვს, რომ სუბიექტმა თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს შეაფასოს, არსებობს თუ არა მირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშანი, ხოლო თუ ასეთი ნიშანი არსებობს, შეაფასოს აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება და განსაზღვროს, საბალანსო ღირებულება აღემატება თუ არა შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებას. ბასს 36 ანაზღაურებად ღირებულებას განმარტავს, როგორც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გასვლის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდეს თანხას. გარდა ამისა, გაუფასურების ზარალის აღიარების დროს, ბასს 36 მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში გარკვეული ინფორმაციის გამჟღავნებას, მათ შორის რომელიც ეხება გაუფასურების გამოთვლისას გამოყენებულ განსჯას და შეფასებებს.</p> <p>ამასთან ერთად, ბასს 1<sup>20</sup> მოითხოვს ინფორმაციის გამჟღავნებას ხელმძღვანელობის მიერ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მომავალთან დაკავშირებით განსაზღვრული საკუთარი დაშვებებისა და შეფასების განუსაზღვრელობის სხვა ძირითადი წყაროების შესახებ, რომლებთანაც დაკავშირებულია მომდევნო საფინანსო წლის განმავლობაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების არსებითი კორექტირების რისკი.</p>

20. ბასს 1 – „ფინანსური ანგარიშგების წარდგენ“.

ას 540 -ის (გადასინჯული) მოთხოვნების არჩევა <sup>17</sup>	აუდიტორის ცოდნა და მიდგომა <sup>18</sup>
	<p>ბასს 36 მოიცავს ზოგიერთ ზუსტ, დეტალურ მოთხოვნას იმის თაობაზე, როგორ უნდა გამოითვალოს სუბიექტმა ანაზღაურებადი ღირებულება (მაგ., რა კონკრეტული ელემენტები უნდა გაითვალისწინოს გამოყენების ღირებულების გამოთვლისას), რაც ზღუდავს სუბიექტურობის ხარისხს შეფასების გამოსათვლელი მეთოდის შერჩევისა და გამოყენებისას.</p> <p>ამ მაგალითში, ხელმძღვანელობამ ანაზღაურებადი ღირებულების შესაფასებლად გამოიყენა აქტივის გამოყენების ღირებულების გამოსათვლელი მოდელი. ასეთი მოდელების გამოყენება, როგორც წესი, საჭიროებს მრავალგვარ დაშვებას და რთულ მოდელირებას, რაც განაპირობებს ხელმძღვანელობის სუბიექტურობას და მისი მიკერძოებული მოქმედების შესაძლებლობას სათანადო დაშვებების შერჩევაში, ასევე სირთულეს სათანადო მოდელის შემუშავებასა და გამოყენებაში.</p> <p>აუდიტორმა შეაფასა, რომ ბასს 36-ით და ბასს 1-ით მოთხოვნილი გასამჟღავნებელი ინფორმაციის მომზადება, რომელიც დაკავშირებულია მირითადი საშუალებების ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებასთან, არ არის განსაკუთრებით რთული და არც ზრდის ხელმძღვანელობის სუბიექტურობის ან მიკერძოების შესაძლებლობას.</p>
<p>(გ) სუბიექტის სააღრიცხვო შეფასებებისთვის შესაფერისი მარეგულირებელი ფაქტორები, მათ შორის, რომლებიც დაკავშირებულია პრუდენციულ ზედამხედველობასთან, როდესაც შესაფერისა;</p> <p>(იხ. პუნქტი გ26)</p>	<p>ფოტოპარატების წარმოების დარგის შესახებ საკუთარი ცოდნის, არსებული დარგობრივი მითითებებისა და ხელმძღვანელობასთან ერთად ჩატარებული განხილვის გათვალისწინებით, აუდიტორმა დაადგინა, რომ არ არსებობს საწარმოს მირითადი საშუალებების სააღრიცხვო შეფასების გამოთვლებთან დაკავშირებული რაიმე მარეგულირებელი ფაქტორები.</p>
<p>(დ) იმ სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებით შენიშვნებში გასამჟღავნებელი შესაბამისი ინფორმაციის ხასიათი, რომლებიც, აუდიტორის ვარაუდით, ასახული უნდა იყოს ფინანსურ ანგარიშგებაში, 13(ა)–(გ) პუნქტებში განხილული საკითხების შესწავლის შედეგად; (იხ. პუნქტი გ27)</p>	<p>აუდიტორმა შეისწავლა 13(ა)_<u>(გ)</u> პუნქტის შესაბამისად ჩატარებული პროცედურების შედეგები.</p> <p>აუდიტორმა დაადგინა სააღრიცხვო შეფასების (მირითადი საშუალებების შეფასება და გაუფასურება) სავარაუდო ხასიათი და მასთან დაკავშირებით სუბიექტის ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლების შესაბამისად გასამჟღავნებელი ინფორმაცია (ე.ი. ინფორმაცია ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრის შესახებ ბასს 36-ის მოთხოვნების მიხედვით):</p>

ას 540 -ის (გადასინჯული) მოთხოვნების არჩევა <sup>17</sup>	აუდიტორის ცოდნა და მიდგომა <sup>18</sup>
	<ul style="list-style-type: none"> <li>აუდიტორის ფირმის მიერ შემუშავებული დამხმარე პრაქტიკული ინსტრუქციების განხილვით, რომელიც მოიცავს ბასს 1-ისა და ბასს 36-ის მიზნებისთვის წარსადგენი და განმარტებით შენიშვნებში გასამჟღავნებელი ინფორმაციის საუკეთესო პრაქტიკის საილუსტრაციო მაგალითებს; და</li> <li>სუბიექტის წინა პერიოდის ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნების განხილვით, რომლებიც ეხება ძირითადი საშუალებების ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრას.</li> </ul>
<p><b>სუბიექტის შიდა კონტროლი</b></p> <p>ე) სუბიექტში არსებული, ფინანსური ანგარიშების მომზადებასთან დაკავშირებული ზედამხედველობისა და მართვის ხასიათი და დონე, რომლებიც ეხება სააღრიცხვო შეფასებებს; (იხ. პუნქტები გ28–გ30)</p>	<p>აუდიტორმა ჩაატარა რისკის შეფასების პროცედურები, რათა გაერკვია მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან დაკავშირებით შემდეგი საკითხები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ჰქონდათ თუ არა მათ იმგვარი ცოდნა ან უნარები, რომ გაეგოთ კონკრეტული მეთოდის ან მოდელის მახასიათებლები, გამოევთვალათ სააღრიცხვო შეფასებები და გამოევლინათ სააღრიცხვო შეფასებებთან დაკავშირებული რისკები. ამისათვის აუდიტორმა შეაფასა სუბიექტის აუდიტის კომიტეტის გამოცდილება ძირითადი საშუალებების გაუფასურების შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებში;</li> <li>ჰქონდათ თუ არა მათ იმგვარი ცოდნა ან უნარები, რომ გაეგოთ, ხელმძღვანელობამ სააღრიცხვო შეფასებები გამოითვალა თუ არა ფინანსური ანგარიშების წარდგენის სათანადო საფუძვლების შესაბამისად. ამისათვის აუდიტორმა შეისწავლა აუდიტის კომიტეტის კვალიფიკაცია, კონკრეტულად, იცოდა თუ არა მან ბასს 36-ის მოთხოვნები იმ დონეზე, რომ გაერკვია, რამდენად შეესაბამებოდა ხელმძღვანელობის შეფასებები ამ სტანდარტის მოთხოვნებს;</li> <li>იყვნენ თუ არა ისინი ხელმძღვანელობისგან დამოუკიდებლები, ჰქონდათ თუ არა მათ საჭირო ინფორმაცია იმის დროულად შესაფასებლად, როგორ გამოითვალა ხელმძღვანელობამ სააღრიცხვო შეფასებები და ასევე იმის უფლებამოსილება, ეჭვეშე დაეყუნებინათ ხელმძღვანელობის ქმედებები, როცა ასეთი ქმედებები არაადეკატური ან მიუღებელი ჩანდა. ამ მიზნით აუდიტორმა შეამოწმა აუდიტის კომიტეტისთვის წარდგენილი პერიოდული ანგარიშების პაკეტები და შეაფასა, შეიცვდა თუ არა ისინი ხელმძღვანელობის შეფასებების მიზანშეწონილობის შესამოწმებლად აუცილებელ ინფორმაციას; ასევე შეაფასა აუდიტის კომიტეტსა და ხელმძღვანელობას შორის ბოლოდროინდელი კომუნიკაცია, რათა გაერკვია, დასვა თუ არა აუდიტის კომიტეტმა სათანადო კითხვები ხელმძღვანელობის მიერ გამოთვლილ სააღრიცხვო შეფასებებთან დაკავშირებით;</li> </ul>

ას 540 -ის (გადასინჯული) მოთხოვნების არჩევა <sup>17</sup>	აუდიტორის ცოდნა და მიღებობა <sup>18</sup>
	<ul style="list-style-type: none"> <li>• უწევდნენ თუ არა ისინი ზედამხედველობას სააღრიცხვო შეფასებების გამოსათვლელად დადგენილ ხელმძღვანელობის პროცესს, მათ შორის მოდელების გამოყენებას. ამ მიზნით აუდიტორი გაეცნო ოქმებს და სხვა დოკუმენტებს, იმის დასადასტურებლად, რომ ხელმძღვანელობა პერიოდული ანგარიშების პაკეტებს წარუდგენს აუდიტის კომიტეტს და კომიტეტი ამოწმებს, იხილავს და ამტკიცებს მას; და</li> <li>• უწევდნენ თუ არა ისინი ზედამხედველობას ხელმძღვანელობის მიერ განხორციელებულ მონიტორინგის ღონისძიებებს – აუდიტორმა შეაფასა აუდიტის კომიტეტის მონაწილეობა ხელმძღვანელობის ზედამხედველობისა და მიმოხილვის პროცედურებში, რომლებიც განკუთვნილია კონტროლის მექანიზმების დიზაინსა და მათი ფუნქციონირების ეფექტურობაში ნაკლოვანებების გამოსავლენად და გამოსასწორებლად.</li> </ul>
3) როგორ ადგენს ხელმძღვანელობა სააღრიცხვო შეფასებებთან დაკავშირებული სპეციალური უნარ-ჩვევების ან ცოდნის გამოყენების საჭიროებას, მათ შორის ხელმძღვანელობის ექსპერტის, ან როგორ იყენებს მათ; (იხ. პუნქტი გ31)	<p>ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ მას გააჩნდა საკმარისი ცოდნა და უნარები იმისთვის, რომ ექსპერტის ჩართვის გარეშე შეერჩია და გამოყენებინა ძირითადი საშუალებების ანაზღაურებადი ღირებულების გამოსათვლელად განკუთვნილი შესაბამისი მეთოდები, დაშვებები და მონაცემები. აუდიტორმა ჩაატარა რისკის შეფასების პროცედურები იმის გასარკვევად, ხელმძღვანელობამ:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• გაითვალისწინა თუ არა შესაფასებელი საკითხის სპეციფიკური ხასიათი, (გაუფასურების ინდიკატორები);</li> <li>• გაითვალისწინა თუ არა ბასს 36-ის მოთხოვნების გამოყენებისთვის საჭირო მოდელების რთული ხასიათი; და</li> <li>• შეაფასა თუ არა ის გარემოებები, ოპერაცია ან მოვლენა როგორც უჩვეულო ან იშვიათი, რომელიც საჭიროებს სააღრიცხვო შეფასების გამოთვლას (გაუფასურება).</li> </ul> <p>როდესაც აფასებდა სააღრიცხვო შეფასებასთან დაკავშირებულ რისკს აუდიტორმა დაადგინა, რომ ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ზემოაღნიშნული საკითხები და დაასკვნა, რომ ხელმძღვანელობამ სათანადოდ გამოიყენა სპეციალიზებული უნარები ან ცოდნა.</p>

ას 540 -ის (გადასინჯული) მოთხოვნების არჩევა <sup>17</sup>	აუდიტორის ცოდნა და მიდგომა <sup>18</sup>
<p>ზ) სუბიექტის რისკის შეფასების პროცესი როგორ ავლენს სააღრიცხვო შეფასებებთან დაკავშირებულ რისკებს და როგორ რეაგირებს მათზე; (იხ. პუნქტები გ32–გ33)</p>	<p>აუდიტორმა ჩაატარა რისკის შეფასების პროცედურები, რათა საერთო წარმოდგენა შეექმნა ხელმძღვანელობის რისკის შეფასების პროცესის შესახებ და გაერკვია, ხელმძღვანელობა:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს თუ არა და თუ აქცევს როგორ, სააღრიცხვო შეფასების გამოსათვლელად საჭირო მეთოდების, დაშვებებისა და მონაცემების შერჩევასა და გამოყენებას. კონკრეტულად, შეისწავლა შესაბამისი მეთოდების, დაშვებებისა და მონაცემების შესარჩევად ხელმძღვანელობის მიერ დადგენილი პროცესი და შეაფასა სამომხმარებლო ფოტოაპარატების გაუფასურების პროცესის მიმოხილვასთან დაკავშირებული სუბიექტის კონტროლის მექანიზმები და კონტროლის სხვა მექანიზმები;</li> <li>• ახორციელებს თუ არა და თუ ახორციელებს როგორ, ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებლების მონიტორინგს (KPI), რომლებიც შეიძლება მიანიშნებდეს მოულოდნელ ან შეუსაბამო შედეგებზე წარსული პერიოდების ან საბიუჯეტო მაჩვენებლებთან, ან სხვა ცნობილ ფაქტორებთან შედარებით (მაგ., მოვლენების ან პირობების ცვლილებები) - ეს მოიცავდა ხელმძღვანელობის მიერ ჩატარებული პერიოდული შეხვედრების მტკიცებულებების შემოწმებას, რათა აუდიტორს გაეანალიზებინა სუბიექტის საქმიანობა ეფექტიანობის ძირითად მაჩვენებლებთან შედარებით და შეფასებინა ამ შედეგების გავლენა სუბიექტის სააღრიცხვო შეფასებებზე და, კერძოდ, ისეთზე, რომლებიც გამოთვლილია საპროგნოზო ინფორმაციის გამოყენებით;</li> <li>• ადგენს თუ არა და თუ ადგენს როგორ ფინანსურ ან სხვა სტიმულებს, რომლებიც შეიძლება იყოს მიკერძოების მოტივაცია. აյ იგულისხმება იმის გარკვევა, რა სახის ანაზღაურება და სხვა სახის მასტიმულირებელი ზომები უკავშირდებოდა სააღრიცხვო შეფასებების შედეგებს და რა სახის კონტროლის მექანიზმები დანერგა ხელმძღვანელობამ სააღრიცხვო შეფასებებში მიკერძოების შედეგად გამოწვეული პოტენციური უზუსტობების გამოსავლენად;</li> <li>• ახორციელებს თუ არა ხელმძღვანელობა და თუ ახორციელებს როგორ სააღრიცხვო შეფასებებში გამოყენებული მეთოდების, მნიშვნელოვანი დაშვებების ან მონაცემების ცვლილების მონიტორინგს. ეს გულისხმობდა საბჭოს და კომიტეტის სხდომების ოქმების გაცნობას, რათა აუდიტორს შეეფასებინა, გაითვალისწინა თუ არა ხელმძღვანელობამ გამოთვლებში პერიოდის განმავლობაში და პერიოდის დასრულების შემდგომ წარმოქმნილი მოვლენებისა და პირობების გავლენა ფინანსურ ანგარიშებაზე და კონკრეტულად რა მოიმოქმედა;</li> </ul>

ას 540 -ის (გადასინჯული) მოთხოვნების არჩევა <sup>17</sup>	აუდიტორის ცოდნა და მიღება <sup>18</sup>
	<ul style="list-style-type: none"> <li>• ახორციელებს თუ არა სათანადო ზედამხედველობას და განიხილავს და აფასებს თუ არა სააღრიცხვო შეფასებების გამოსათვლელად გამოყენებულ მოდელებს. ეს გულისხმობდა ხელმძღვანელობის მიერ სააღრიცხვო შეფასებების გამოთვლასთან დაკავშირებით დაგენილი მიმოხილვის კონტროლის მექანიზმების შესწავლას და შეფასებას, მათ შორის იმის გარკვევას, აღნიშნული კონტროლის მექანიზმები როგორ აკონტროლებს მოდელების გამოყენებას;</li> <li>• ახორციელებს თუ არა პროცესს, რომელიც მოითხოვს სააღრიცხვო შეფასების გამოთვლასთან დაკავშირებული ხელმძღვანელობის მნიშვნელოვანი განსჯის დასაბუთებისა და ჩატარებული დამოუკიდებელი მიმოხილვის დოკუმენტირებას. ეს გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ მიმოხილვისთვის დანერგილი კონტროლის მექანიზმების შესწავლასა და შეფასებას, ასევე აუდიტის კომიტეტთან ხელმძღვანელობის ურთიერთქმედების, მათ შორის აუდიტის კომიტეტისთვის წარდგენილი ნებისმიერი რელევანტური მასალის შესწავლას და შეფასებას;</li> <li>• ატარებს თუ არა მოდელის პერიოდული ვალიდაციის/შემოწმების პროცედურებს. ეს გულისხმობს კონტროლის მექანიზმების ისეთი ცვლილებების გარკვევას, რომელიც ხელმძღვანელობამ განახორციელა თავისი მოდელების ცვლილების ან კორექტირების შესაბამისად, ასევე იმ პერიოდული შეხვედრების ოქმების შემოწმებას, როდესაც მოდელის ცვლილების საჭიროება და გაძლიერება განიხილეს; და</li> <li>• იღებს თუ არა ზომებს მოვალეობების ადეკვატური განაწილების უზრუნველსაყოფად რისკის შეფასების პროცედურებსა და სააღრიცხვო შეფასებების გამოთვლაზე პასუხისმგებელ პირებს შორის. ეს გულისხმობს სააღრიცხვო შეფასებების გამოთვლის პროცესზე განაწილებული როლებისა და პასუხისმგებლობების გარკვევას და იმის დადგენას, განაწილება ისეთი ფორმით არის თუ არა განხორციელებული, რომ სააღრიცხვო შეფასებების გამოთვლაზე პასუხისმგებელი პირები დამოუკიდებელი იყვნენ რისკის შეფასებაზე პასუხისმგებელი პირებისგან, მათ შორის იმ კონტროლის მექანიზმების შესწავლას, რომლებიც უზრუნველყოფს იმის გარანტიას, რომ ჩატარდება შეფასების გამოთვლების დამოუკიდებელი მიმოხილვა.</li> </ul>

ას 540 -ის (გადასინჯული) მოთხოვნების არჩევა <sup>17</sup>	აუდიტორის ცოდნა და მიდგომა <sup>18</sup>
<p>თ) სუბიექტის საინფორმაციო სისტემის ის ნაწილი, რომელიც დაკავშირებულია სააღრიცხვო შეფასებებთან, მათ შორის:</p> <p>(i) ოპერაციების კატეგორიები, მოვლენები და პირობები, რომლებიც მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშებისთვის და იწვევს სააღრიცხვო შეფასებების გამოთვლისა და განმარტებით შენიშვნებში მასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნების საჭიროებას, ან სააღრიცხვო შეფასებების შეცვლას; და (იხ. პუნქტები გ34–გ35)</p>	<p>აუდიტორი საფუძვლიანად გაერკვა სუბიექტის საინფორმაციო სისტემაში, როდესაც ჩატარა რისკის შეფასების პროცედურები ას 315-ის (გადასინჯული)<sup>21</sup> შესაბამისად. ეს გულისხმობს იმის დადგენას, რომელ სისტემებსა და ანგარიშებს იყენებს ხელმძღვანელობა სუბიექტის ძირითადი საშუალებების ანაზღაურებადი ღირებულების სააღრიცხვო შეფასებების გამოთვლისას.</p>
<p>(ii) ამგვარი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებით შენიშვნებში გასამჟღავნებელი შესაბამისი ინფორმაციისთვის, ხელმძღვანელობა როგორ:</p> <p>a. განსაზღვრავს შესაფერის მეთოდებს, დაშვებებს ან მონაცემების წყაროებს და მათი შეცვლის საჭიროებას, ფინანსური ანგარიშების წარდგენის სათანადო საფუძვლების მოთხოვნების გათვალისწინებით, მათ შორის, როგორ: (იხ. პუნქტები გ36–გ37)</p> <p>i. არჩევს ან შეიძლება გამოყენებულ მეთოდებს, მათ შორის მოდელებს და როგორ იყენებს მათ; (იხ. პუნქტები გ38–გ39)</p>	<p>ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ ვერ დაადგინა გასვლის დანახარჯებით შემცირებული აქტივების სამართლიანი ღირებულება, რადგან არ სჯეროდა, რომ შეეძლო იმ ფასის საიმედოდ შეფასება, რომლითაც განხორციელდებოდა აქტივების გაყიდვის ნებაყოფლობითი ოპერაცია ბაზრის მონაწილეებს შორის. შესაბამისად, ფოტოაპარატების წარმოებაში გამოყენებული ძირითადი საშუალებების ანაზღაურებადი ღირებულება ხელმძღვანელობამ შეაფასა ძირითადი საშუალებების გამოყენების ღირებულების საფუძველზე. გამოყენების ღირებულების შეფასების დასადგენად ხელმძღვანელობამ გამოიყენა შემოსავლის მიდგომა, სუბიექტმა შეიმუშავა დისკონტირებული ფულადი ნაკადების ("DCF") მოდელი. ხელმძღვანელობამ მიმდინარე წელს მოდელში გარკვეული ცვლილებები შეიტანა, სუბიექტის პროდუქტებისა და ბაზრების ზოგიერთი ცვლილების გასათვალისწინებლად.</p>

21. ას 315 (გადასინჯული), „არსებითი უზუსტობის რისკების გამოვლენა და შეფასება სუბიექტისა და მისი გარემოს შესწავლის გზით“.

ას 540 -ის (გადასინჯული) მოთხოვნების არჩევა <sup>17</sup>	აუდიტორის ცოდნა და მიდგომა <sup>18</sup>
<p>ii. არჩევს გამოსაყენებელ დაშვებებს, მათ შორის, როგორ ითვალისწინებს სხვა დაშვებებს და როგორ ადგენს მნიშვნელოვან დაშვებებს; და (იხ. პუნქტები გ40–გ43)</p>	<p>აუდიტორმა დაადგინა, რომ დაშვებები, რომლებიც ხელმძღვანელობამ გამოიყენა ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრისას, მოიცავდა:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მომავალი ფულადი ნაკადების პროგნოზებს, მათ შორის ამონაგებისა და სავარაუდო ამონაგების ზრდის ტემპებს, პროგნოზირებულ საოპერაციო მარჟებს, კაპიტალურ დანახარჯებს (რომლებიც აუცილებლად იყო მიჩნეული აქტივების გამოყენების გასაფრძელებლად) და საბრუნავი კაპიტალის მოთხოვნებს.</li> <li>• დისკონტირების განაკვეთებს, რომლებიც განსაზღვრულია გადასახადების გადახდამდე (დაბეგვრამდე).</li> </ul> <p>ფულადი ნაკადების ალტერნატიული დაშვებების განხილვისას, აუდიტორმა დაადგინა, რომ ხელმძღვანელობამ განიხილა ბაზრის სხვადასხვა წყარო, გასული პერიოდების ფინანსური შედეგები და ბაზრის ტენდენციები. დისკონტირების განაკვეთის დასადგენად, გაითვალისწინა რა ალტერნატიული მეთოდები, ხელმძღვანელობამ განსაზღვრა, რომ კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება (WACC) იყო სუბიექტის ფინანსური სტრუქტურის ამსახველი საუკეთესო მეთოდი.</p> <p>აუდიტორმა ნახა, რომ ხელმძღვანელობამ მნიშვნელოვანი დაშვებების გამოსავლენად გადაწყვიტა მგრძნობელობის ანალიზის ჩატარება, რათა შეფასებინა, რა გავლენას იქონიებდა დაშვებების გონივრული ვარიანტები წერტილოვანი შეფასების გაანგარიშებაზე. შედეგად, ხელმძღვანელობამ დაადგინა, რომ შეფასებული გამოყენების ღირებულება არსებითად მგრძნობიარე იყო ამონაგების პროგნოზების გონივრული ვარიანტების, პროგნოზირებული საოპერაციო მარჟების, კაპიტალური დანახარჯების, საბრუნავი კაპიტალის მოთხოვნებისა და დისკონტირების განაკვეთის დაშვებების მიმართ. ამგვარად, ხელმძღვანელობამ ეს დაშვებები მნიშვნელოვნად მიიჩნია.</p> <p>აუდიტორმა ხელმძღვანელობის მიერ მნიშვნელოვანი დაშვებების იდენტიფიკაცია მართებულად მიიჩნია სუბიექტის ხასიათისა და გარემოებების გათვალისწინებით.</p>

ას 540 -ის (გადასინჯული) მოთხოვნების არჩევა <sup>17</sup>	აუდიტორის ცოდნა და მიდგომა <sup>18</sup>
<p>iii. არჩევს გამოსაყენებელ მონაცემებს. (იხ. პუნქტი გ44)</p>	<p>აუდიტორმა დაადგინა, რომ ხელმძღვანელობამ შემდეგი მონაცემები შეარჩია სუბიექტის ძირითადი საშუალებების ანაზღაურებადი ღირებულების განსასაზღვრად:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• შემოსავლის მიდგომის საპროგნოზო პერიოდის წინა გასული პერიოდების ფულადი ნაკადები და აქტივების საბალანსო ღირებულებები, როლებიც შერჩეულია ფაქტობრივ ინფორმაციად;</li> <li>• მონაცემები, რომლებიც მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების მიერ გამოყენებულია დამტაიცებულ ბიუჯეტებში, როგორიცაა დამტკიცებული რეალიზაციის ხელშეკრულებები, შიდა საწარმოო სიმძლავრეები და მონაცემები შეუსრულებელი შეკვეთების შესახებ, რომლებიც შერჩეულ იქნა სუბიექტის საქმიანობის სხვა სფეროებში გამოყენებულ მონაცემებთან შესაბამისობის მიზნით;</li> <li>• ფოტოაპარატების დარგის ტენდენციების ანალიზი სანდო წყაროებიდან, რომლებიც შერჩეულია დარგის შეთანხმებული სტანდარტების საფუძველზე;</li> <li>• დამოუკიდებელი გარე მონაცემები: საპროცენტო განაკვეთები, ბეტა კოეფიციენტები და ურისკო განაკვეთები სანდო წყაროებიდან (მაგ., სახელმწიფო უწყებები, საერთაშორისო ფინანსური მონაცემების მომწოდებლები), რომლებიც შერჩეულია ისეთი წყაროების საფუძველზე, რომლებიც წარსულში ხელმძღვანელობამ საიმედოდ მიიჩნია.</li> </ul>
<p>ბ. ადგენს შეფასების განუსაზღვრელობის დონეს, მათ შორის, შეფასების შესაძლო შედეგების დიაპაზონის განხილვის მეშვეობით; და (იხ. პუნქტი გ45)</p>	<p>აუდიტორმა დაადგინა, რომ ხელმძღვანელობის შეფასებით, განუსაზღვრელობის დონე მაღალია, რადგან ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება შეფასების ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში დამოკიდებულია პროგნოზებზე და შესაძლო შედეგები დიაპაზონის სახით არის წარმოდგენილი. გარდა ამისა, ხელმძღვანელობამ ჩაატარა მგრძნობელობის ანალიზი, შესაძლო შედეგების გონივრული/დასაბუთებული დიაპაზონის დასადგენად, რაც კიდევ ერთხელ მიანიშნებს შეფასების განუსაზღვრელობის მაღალ ხარისხზე.</p>
<p>გ. ამცირებს შეფასების განუსაზღვრელობას, მათ შორის, როგორ არჩევს რომელიმე ერთ შეფასებას და განმარტებით შენიშვნებში გასამჟღავნებელ შესაბამის ინფორმაციას ფინანსურ ანგარიშებაში ასახვის მიზნით; (იხ. პუნქტები გ46–გ49)</p>	<p>აუდიტორმა დაადგინა, რომ ხელმძღვანელობამ შეიმუშავა შეფასების შესაძლო შედეგების დიაპაზონი აქტივების გამოყენების ღირებულებისთვის, დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელის გამოყენებით. ხელმძღვანელობამ ბიზნესის, დარგის და შესაბამისი ბაზრების ცოდნის საფუძველზე შეარჩია წერტილოვანი შეფასება, რომელიც ამ დიაპაზონის შუაში იყო.</p>

ას 540 -ის (გადასინჯული) მოთხოვნების არჩევა <sup>17</sup>	აუდიტორის ცოდნა და მიღებობა <sup>18</sup>
	<p>ბას 36-ს მოთხოვნების შესასრულებლად მომზადებულ განმარტებით შენიშვნებთან ერთად, ხელმძღვანელობამ მომზადა სხვა განმარტებებიც, რომლებიც მოიცავს შეფასების განუსაზღვრელობის ძირითადი წყაროების, შესაძლო შედეგების დიაპაზონისა და ამ დიაპაზონის შემუშავებისთვის გამოყენებული დაშვებების აღწერას, სპეციფიკურ ინფორმაციას შეფასების მნიშვნელობის შესახებ სუბიექტის ფინანსური მდგომარეობისთვის, ასევე დაკავშირებული რისკების ზემოქმედებასა და მართვასთან დაკავშირებულ სხვა ხარისხობრივ და რაოდენობრივ ინფორმაციას.</p>
<p>ი) კონტროლის მექანიზმები, რომლებიც შესაფერისია ხელმძღვანელობის მიერ სააღრიცხვო შეფასებების გამოსათვლელად დადგენილი პროცესის აუდიტის ჩასატარებლად, როგორც ეს აღწერილია 13(თ)(ii) პუნქტი; (იხ. პუნქტები გ50–გ54)</p>	<p>აუდიტორმა დაადგინა, რომ ამ სააღრიცხვო შეფასებასთან დაკავშირებით ხელმძღვანელობამ შეიმუშავა და დანერგა კონტროლის ბევრი მექანიზმი, მათ შორის კონტროლის შემდეგი მექანიზმები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ხელმძღვანელობა ატარებს ძირითადი საშუალებების კვარტალურ მიმოხილვას გაუფასურების შესაძლო ინდიკატორების შესაფასებლად;</li> <li>• ხელმძღვანელობა განიხილავს და ამტკიცებს შეფასებებს, რომლებიც ეხება სამომხმარებლო ფოტოაპარატების წარმოებაში გამოყენებული ძირითადი საშუალებების ანაზღაურებად ღირებულებას, მათ შორის შესაბამისი მეთოდების, დაშვებებისა და მონაცემების შერჩევის შესახებ გადაწყვეტილებებს;</li> <li>• ხელმძღვანელობა ამონაგების პროგნოზს ადარებს ფაქტობრივ შედეგებთან და იკვლევს განსხვავებებს.</li> </ul> <p>აუდიტორმა გაიაზრა ამ კონტროლის მექანიზმების ხასიათი, შეაფასა კონტროლის მექანიზმების ეფექტიანობა და დაადგინა, დანერგილი იყო და მუშაობდა თუ არა კონტროლის ეს პროცედურა პერიოდის განმავლობაში ას 315-ის (გადასინჯული) შესაბამისად.</p>
<p>კ) როგორ ატარებს ხელმძღვანელობა ადრინდელი სააღრიცხვო შეფასებების შედეგ(ებ)ის მიმოხილვას და როგორ ითვალისწინებს მიმოხილვის შედეგებს.</p>	<p>აუდიტორმა მიმოიხილა გამოყენების ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელში ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული დაშვებების რეალიზების/ შედეგი, რომელსაც ეყრდნობა ფულადი ნაკადების პროგნოზები და დაადგინა, რომ ხელმძღვანელობა ატარებს ანაზღაურებადი ღირებულების წინა შეფასებების შედეგის მიმოხილვას. აუდიტორმა აღნიშნა, რომ ხელმძღვანელობა იხილავს პროცესში კორექტირებების შეტანის საჭიროების საკითხს, თუ მნიშვნელოვანი განსხვავებები გამოვლინდება.</p>

ას 540 -ის (გადასინჯული) მოთხოვნების არჩევა <sup>17</sup>	აუდიტორის ცოდნა და მიღვომა <sup>18</sup>
<p>14. არსებითი უზუსტობების რისკების გამოსავლენად და შესაფასებლად აუდიტორმა უნდა მიმოიხილოს ადრინდელი სააღრიცხვო შეფასებების შედეგები, ან საჭიროების შემთხვევაში, მათი ხელახალი შეფასების საჭიროების საკითხი მიმდინარე პერიოდში. ამგვარი მიმოხილვის ხასიათისა და დონის დასადგენად აუდიტორმა უნდა გაითვალისწინოს კონკრეტული სააღრიცხვო შეფასებების კონკრეტული მახასიათებლები. მიმოხილვის მიზანი არ არის წინა პერიოდის სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განხორციელებული განსჯისა და მიღებული გადაწყვეტილებების ეჭვეკვეშ დაყენება, რომლებიც შესაფერისი იყო მათი გამოთვლის დროს ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე. (იხ. პუნქტები გ55–გ60)</p>	<p>აუდიტორმა ჩატარა ხელმძღვანელობის მიერ წინა პერიოდის ბოლოს შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულების რეტროსპექტული მიმოხილვა, განიხილა მნიშვნელოვანი დაშვებების რეალიზება/შედეგი, რომელსაც ეყრდნობოდა ფულადი ნაკადების პროგნოზები წინა პერიოდის ბოლოს, მათ შორის ხელმძღვანელობის ამჟამინდელ დისონტირებული ფულადი ნაკადების მოდელში გამოყენებული მნიშვნელოვანი დაშვებები შეუდარა წინა წლის ბოლოს გამოყენებულ დაშვებებს და გამოიკვლია მნიშვნელოვანი ცვლილებები.</p> <p>რეტროსპექტული მიმოხილვის დროს, აუდიტორმა განიხილა, არსებობდა თუ არა ხელმძღვანელობის მიკერძოების რაიმე ნიშანი წინა პერიოდის შეფასებაში.</p> <p>დაშვებებში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ დაფიქსირებულა და არც მიკერძოების ნიშნები არ გამოვლენილა.</p> <p>ხელმძღვანელობის წინა შეფასებები დასაბუთებული აღმოჩნდა.</p>
<p>15. სააღრიცხვო შეფასებებთან დაკავშირებით აუდიტორმა უნდა განსაზღვროს, გარიგების გუნდს ესაჭიროება თუ არა სპეციალური უნარ-ჩვევები ან ცოდნა რისკის შეფასების პროცედურების ჩასატარებლად, არსებითი უზუსტობის რისკების გამოსავლენად და შესაფასებლად, ამ რისკებზე რეაგირებისთვის განკუთვნილი პროცედურების შემუშავებისა და ჩატარებისთვის, ან მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებების შესაფასებლად. (იხ. პუნქტები გ61–გ63)</p>	<p>აუდიტორმა დაადგინა, რომ აუცილებელი იყო ფირმის შეფასების სპეციალისტების ჩართვა დისკონტირების განაკვეთის განსაზღვრაში, რომელიც ხელმძღვანელობამ გამოიყენა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელში, მათ შორის, დარგობრივი მონაცემების შედარების გზით.</p>

ას 540 -ის (გადასინჯული) მოთხოვნების არჩევა <sup>17</sup>	აუდიტორის ცოდნა და მიღება <sup>18</sup>
<b>არსებითი უზუსტობის რისკის გამოვლენა და შეფასება</b>	
<p>16. მტკიცების დონეზე სააღრიცხვო შეფასებებსა და განმარტებით შენიშვნებში გამუდავნებულ შესაბამის ინფორმაციასთან დაკავშირებული არსებითი უზუსტობის რისკების გამოვლენისა და შეფასებისას ას 315-ის (გადასინჯული)<sup>22</sup> მოთხოვნების შესაბამისად, აუდიტორმა ცალ-ცალე უნდა შეაფასოს თანდაყოლილი და კონტროლის რისკები. არსებითი უზუსტობის რისკების გამოვლენისა და თანდაყოლილი რისკის შეფასებისას აუდიტორმა მხედველობაში უნდა მიიღოს შემდეგი ფაქტორები: (იხ. პუნქტები გ64-გ71)</p> <p>ა) რამდენად ახდენს გავლენას სააღრიცხვო შეფასებაზე შეფასების განუსაზღვრელობა; და (იხ. პუნქტები გ72-გ75)</p> <p>ბ) რამდენად ზემოქმედებს სირთულე, სუბიექტურობა და სხვა თანდაყოლილი რისკფაქტორები: (იხ. პუნქტები გ76-გ79)</p> <p>(i) სააღრიცხვო შეფასების განსაზღვრისთვის მეთოდის, დაშვებებისა და მონაცემების შერჩევასა და გამოყენებაზე; ან</p>	<p>მე-16(ა)-(ბ) პუნქტებით განსაზღვრული საკითხების გათვალისწინებით აუდიტორმა დაადგინა, რომ ანარიცხვის შეფასებასთან დაკავშირებული არსებითი უზუსტობის რისკი ზომიერია, აუდიტორმა ასევე შეაფასა, რომ კონტროლის რისკი დაბალია, რადგან სუბიექტის კონტროლის მექანიზმები კარგად არის შემუშავებული და, სავარაუდოდ, რეაგირებას მოახდენს არსებითი უზუსტობის რისკზე – წინა ტესტირების შედეგებისა და წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების საკუთარი შეფასების გათვალისწინებით.</p> <p>აუდიტორის შეფასებით სააღრიცხვო შეფასებასთან დაკავშირებული შეფასების განუსაზღვრელობის დონე მაღალია, ვინაიდან შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება დამოკიდებულია გრძელვადიან პერიოდის ფულადი ნაკადების პროგნოზებზე, პოტენციური შედეგების გარკვეული დიაპაზონის არსებობის პირობებში და, ამგვარად, რთულია მისი მაღალი სიზუსტით შეფასება.</p> <p>სირთულესთან, სუბიექტურობასა და სხვა თანდაყოლილ რისკფაქტორებთან დაკავშირებით აუდიტორმა შემდეგი დასკვნები გამოიტანა:</p> <p>მეთოდის, დაშვებებისა და მონაცემების შერჩევასთან დაკავშირებით:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სირთულის დონე შეაფასა როგორც მაღალი, რადგან ხელმძღვანელობის მიერჩატარებულ დისკონტირებული ფულადი ნაკადების გამოთვლებში მრავალი განსჯადი დაშვება და რთული მოდელირება (რთული მეთოდი) გამოიყენება;</li> <li>• სუბიექტურობის დონე შეაფასა როგორც მაღალი, რადგან შეფასების განუსაზღვრელობის მაღალი დონის გამო, ხელმძღვანელობას საფუძვლიანი განსჯა ესაჭიროება ანაზღაურებადი ღირებულების შეფასების განსაზღვრად. კერძოდ, მაღალი დონის განსჯაა აუცილებელი ამონაგების შესაბამისი პროგნოზების შესარჩევად და დისკონტირების განაკვეთის განსაზღვრისთვის ფულადი ნაკადების გაანგარიშების მიზნით.</li> </ul>

22. ას 315 (გადასინჯული), პუნქტები 25-ე და 26-ე.

ას 540 -ის (გადასინჯული) მოთხოვნების არჩევა <sup>17</sup>	აუდიტორის ცოდნა და მიღება <sup>18</sup>
<p>(ii) ხელმძღვანელობის მიერ წერტილოვანი შეფასებისა და შესაბამისი გასამჟღავნებელი ინფორმაციის შერჩევაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის მიზნით.</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>შეფასა სხვა თანდაყოლილი რისკფაქტორები. იმ დაშვებებთან დაკავშირებული სუბიექტურობის მაღალი დონე, რომლებიც საფუძვლად უდევს ამონაგების პროგნოზირების პროცესს, განაპირობებს ანაზღაურებადი ღირებულების მგრძნობელობას ხელმძღვანელობის მიკერძოების მიმართ, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელმძღვანელობის მიკერძოების რისკი ფასდება როგორც მაღალი. თაღლითობით გამოწვეული უზუსტობის მიმართ მგრძნობელობა შეფასდა როგორც დაბალი, რადგან შეფასებასთან დაკავშირებით არ გამოვლინდა თაღლითობის კონკრეტული რისკფაქტორები. ცვლილების ეფექტი შეფასდა, როგორც ზომიერი, რადგან შეფასებას რისკი დაემუქრა სუბიექტის პროდუქტების და ბაზრების ცვლილების გამო, რის გამოც ხელმძღვანელობამ დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელში გამოყენებულ დაშვებებში ცვლილებები შეიტანა. სხვა მნიშვნელოვან ცვლილებებს არ ჰქონია ადგილი ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლებში ან ფინანსური ანგარიშგების მუხლებში, რასაც მოჰყვებოდა შეფასების ცვლილება.</li> </ul> <p>ხელმძღვანელობის წერტილოვანი შეფასებისა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გასამჟღავნებელი შესაბამისი ინფორმაციის შერჩევასთან დაკავშირებით:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>აუდიტორმა შეფასა, რომ რთული არ იყოს წერტილოვანი შეფასებისა და ბასს 36-ის მოთხოვნების შესაბამისად განმარტებით შენიშვნებში გასამჟღავნებელი შესაბამისი ინფორმაციის შერჩევა. ამგვარად, აუდიტორმა დაადგინა, რომ დაბალი იყო ხელმძღვანელობის წერტილოვან შეფასებასა და განმარტებით შენიშვნებში გასამჟღავნებელ ინფორმაციაზე თანდაყოლილი რისკფაქტორების გავლენა.</li> </ul>
<p>17. აუდიტორმა უნდა განსაზღვროს, მე-16 პუნქტის შესაბამისად გამოვლენილი და შეფასებული არსებითი უზუსტობის რისკებიდან რომელიმე არის თუ არა მნიშვნელოვანი რისკი<sup>23</sup>, მისი აზრით. თუ აუდიტორი დაადგენს, რომ არსებობს მნიშვნელოვანი რისკები, მან უნდა შეისწავლოს ამ რისკთან დაკავშირებული სუბიექტის შიდა კონტროლი, მათ შორის კონტროლის მექანიზმები<sup>24</sup>. (იხ. პუნქტი გ80)</p>	<p>აუდიტორის შეფასებით ძირითადი საშუალებების შეფასებასთან დაკავშირებულია არსებითი უზუსტობის მნიშვნელოვანი რისკი, რაც კონკრეტულად უკავშირდება ფოტოაპარატების წარმოებისთვის გამოყენებული აქტივების ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრას. ამგვარი შეფასება იმით არის განპირობებული, რომ აუდიტორმა შეფასების განუსაზღვრელობა, სუბიექტურობა, სირთულე და ხელმძღვანელობის მიკერძოების მიმართ მგრძნობელობა შეფასა როგორც მაღალი, რაც ზრდის არსებითი უზუსტობის ალბათობას. გარდა ამისა, ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება ხუთჯერ აღემატება არსებითობის დონეს, ასე რომ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია არსებითი უზუსტობის არსებობა.</p>

23. ას 315 (გადასინჯული), 27-ე პუნქტი.

24. ას 315 (გადასინჯული), 29-ე პუნქტი.

ას 540 -ის (გადასინჯული) მოთხოვნების არჩევა <sup>17</sup>	აუდიტორის ცოდნა და მიდგომა <sup>18</sup>
	<p>როგორც უკვე აღინიშნა ზემოთ მე-13 (ი) პუნქტის მოთხოვნასთან დაკავშირებით, აუდიტორმა შეისწავლა და შეაფასა ანაზღაურებად ღირებულებასთან დაკავშირებული არსებითი უზუსტობის რისკის საპასუხოდ სუბიექტის მიერ დანერგილი კონტროლის მექანიზმები.</p>
<b>არსებითი უზუსტობის შეფასებულ რისკებზე რეაგირება</b>	
<p>18. ას 330-ის<sup>25</sup> მოთხოვნების თანახმად, აუდიტორის დამატებითი პროცედურები უნდა მიესადაგებოდეს კონკრეტული მტკიცების დონეზე<sup>26</sup> შეფასებულ არსებითი უზუსტობის რისკებს და ითვალისწინებდეს მიზეზებს, რის გამოც აუდიტორმა ამ რისკებს მიანიჭა მოცემული შეფასება. აუდიტორის დამატებითი აუდიტის პროცედურები უნდა მოიცავდეს ერთ ან მეტ ქვემოთ განხილულ მიდგომას:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ა) აუდიტის მტკიცებულებების მოპოვებას აუდიტორის დასკნის თარიღამდე მომხდარი მოვლენებიდან; (იხ. 21- პუნქტი)</li> <li>ბ) ტესტირების ჩატარებას იმის დასადგენად, როგორ განსაზღვრა ხელმძღვანელობამ კონკრეტული სააღრიცხვო შეფასება; (იხ. 22-27-ე პუნქტები); ან</li> <li>გ) აუდიტორის მიერ წერტილოვანი შეფასების ან შეფასებების დიაპაზონის განსაზღვრას. (იხ. 28-29-ე პუნქტები)</li> </ul>	<p>აუდიტორმა განსაზღვრა, რომ დამატებითი აუდიტის პროცედურები არსებითი უზუსტობის შეფასებულ რისკებზე რეაგირებისთვის უნდა მოიცავდეს შეფასების გამოსათვლელად განკუთვნილი ხელმძღვანელობის პროცესის ტესტირებას, „ელემენტების ტესტების“ ჩატარებით.</p> <p>ამ მიდგომის არჩევის შესახებ აუდიტორის გადაწყვეტილება ეყრდნობოდა რამდენიმე ფაქტორს, მათ შორის:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მოსალოდნელი არ არის, რომ აუდიტორის დასკნის თარიღამდე მომხდარი მოვლენებიდან მოპოვებული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი აუდიტის მტკიცებულებები იქნება ამ შეფასებისთვის;</li> <li>• სუბიექტის მიერ ამ შეფასების მიზნებისთვის წინა პერიოდებში გამოყენებული დისკონტინუური ფულადი ნაკადების მიმოხილვა, რომელიც აუდიტორმა ჩატარა, მიანიშნებს ხელმძღვანელობის პროცესის ადეკვატურობაზე;</li> <li>• ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლები განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა გამოითვალის ხელმძღვანელობამ სააღრიცხვო შეფასება; და</li> </ul>

25. ას 330, პუნქტები მე-6-15 და მე-18.

26. ას 330, პუნქტები მე-6-7 და 21-ი.

ას 540 -ის (გადასინჯული) მოთხოვნების არჩევა <sup>27</sup>	აუდიტორის ცოდნა და მიღება <sup>28</sup>
<p>აუდიტორის დამატებითი აუდიტის პროცედურები უნდა ითვალისწინებდეს, რომ რაც უფრო მაღალია შეფასებული არსებითი უზუსტობის რისკი, მით უფრო საწმუნო უნდა იყოს მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები.<sup>27</sup> აუდიტორმა იმგვარად უნდა დაგეგმოს და ჩაატაროს დამატებითი აუდიტის პროცედურები, რომ ისინი განზრას არ იყოს მიმართული ისეთი აუდიტის მტკიცებულებების მოპოვებაზე, რომელთა დადასტურებაც შესაძლებელია, ან ისეთი აუდიტის მტკიცებულებების გამორიცხვაზე, რომლებიც შეიძლება წინააღმდეგობაში მოდიოდეს სხვა მტკიცებულებებთან. (იხ. პუნქტი გ81-გ84)</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>სავარაუდოდ, ეს მიღება უფრო ეფექტური/პრაქტიკული იქნება, ვიდრე აუდიტორის მიერ დამოუკიდებელი წერტილოვანი შეფასების ან დიაპაზონის განსაზღვრა.</li> </ul> <p>ჩასატარებელი ტესტირების პროცედურების განსაზღვრისას, აუდიტორმა გაითვალისწინა სუბიექტურობის უფრო მაღალი დონე და მგრძნობელობა ხელმძღვანელობის მიკერძოების მიმართ, რაც უკავშირდება ანაზღაურებადი ღირებულების შეფასების გამოთვლებში გამოყენებულ მნიშვნელოვან დაშვებებს.</p>
<p>19. ას 330-ის<sup>28</sup> მოთხოვნების შესაბამისად, აუდიტორმა უნდა დაგეგმოს და ჩაატაროს კონტროლის ტესტები საკმარისი და შესაფერისი აუდიტის მტკიცებულებების მოსაპოვებლად სათანადო კონტროლის მექანიზმების ფუნქციონირების ეფექტიანობის ტესტირებიდან. ხელმძღვანელობის მიერ დანერგილ მიმოხილვის კონტროლის პროცედურასთან დაკავშირებით (კონტროლის პროცედურის დასახლება - „ხელმძღვანელობა განიხილავს და ამტკიცებს სამომხმარებლო ფოტოაპარატების საწარმოებლად გამოყენებული ძირითადი საშუალებების ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებებს, მათ შორის შესაბამისი მეთოდების, დაშვებებისა და მონაცემების შესარჩევად გამოყენებულ განსკასა და მიღებულ გადაწყვეტილებებს”), აუდიტორმა გადაწყვიტა, რომ აღნიშნული კონტროლის პროცედურა შეამცირებს ძირითადი ტესტების მოცულობას, რომელთა ჩატარება აუცილებელია იმ მონაცემების შესაბამისი წყაროების შერჩევისას მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, რომლებიც უნდა გამოიყენონ მნიშვნელოვანი დაშვებების განსაზღვრისთვის (შესამუშავებლად), რაც ხელმძღვანელობის მიერ დადგენილი მიმოხილვის კონტროლის პროცედურის ერთ-ერთი მთავარი მიზანია.</p>	

27. ას 330, პუნქტი 7(8).

28. ას 330, მე-8 პუნქტი.

ას 540 -ის (გადასინჯული) მოთხოვნების არჩევა <sup>17</sup>	აუდიტორის ცოდნა და მიღეომა <sup>18</sup>
<p>სააღრიცხვო შეფასებებთან დაკავშირებით, ამგვარი კონტროლის მექანიზმებისთვის განკუთვნილი აუდიტორის ტესტები უნდა მიესადაგებოდეს იმ მიზნებს, რის გამოც აუდიტორმა არსებითი უზუსტობის რისკებს მიანიჭა მოცემული შეფასება. კონტროლის ტესტების შემუშავებისა და ჩატარებისას აუდიტორმა მით უფრო სარწმუნო აუდიტის მტკიცებულებები უნდა მოიპოვოს, რაც უფრო მეტად აპირებს კონტროლის ამა თუ იმ პროცედურის ეფექტიანობაზე დაყრდნობას.<sup>29</sup> (იხ. პუნქტები გ85–გ89)</p>	<p>აუდიტორმა დაადგინა, რომ სხვა შესაფერისი კონტროლის პროცედურის ტესტირება (კონტროლის პროცედურის დასახელება - „ძირითადი სამუალებების მიმოხილვა შესაძლო გაუფასურების გამო“) არ იქნება ეფექტური, რადგან აუდიტორი ვარაუდობს, რომ შეფასებასთან დაკავშირებით საკმარისი მტკიცებულებების მოპოვებას შეძლებს მირითადი პროცედურების ჩატარებით. ამის გამო, აუდიტორს არ ჩაუტარებია ამ კონტროლის პროცედურის ფუნქციონირების ეფექტიანობის ტესტირება.</p>
<p>20. სააღრიცხვო შეფასებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკის შემთხვევაში, აუდიტორის დამატებითი აუდიტის პროცედურები უნდა მოიცავდეს კონტროლის ტესტების ჩატარებას მიმდინარე პერიოდში, თუ აუდიტორი გეგმავს ამ კონტროლის მექანიზმებზე დაყრდნობას. როდესაც მნიშვნელოვანი რისკის მიმართ გამოსაყენებელი მიდგომა მხოლოდ მირითადი პროცედურების ჩატარებას გულისხმობს, მაშინ ეს პროცედურები უნდა მოიცავდეს ელემენტების (დეტალურ) ტესტებს.<sup>30</sup> (იხ. პუნქტი გ90)</p>	<p>როგორც ზემოთ აღინიშნა, აუდიტორმა პერიოდის განმავლობაში მხოლოდ ერთი კონტროლის პროცედურის ფუნქციონირების ეფექტიანობის ტესტირება ჩაატარა, მაგრამ აუდიტორმა ასევე ჩატარა ელემენტების ტესტირება, როდესაც იხილავდა, როგორ გამოითვალა ხელმძღვანელობამ სააღრიცხვო შეფასება. მთელი პერიოდის განმავლობაში არ გამოვლენილა არანაირი გადახრა (გამონაკლისი) ამ კონტროლის პროცედურის ფუნქციონირების ეფექტიანობის მხრივ.</p>
<p>სააღრიცხვო შეფასების გამოსათვლელად ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული პროცესის ტესტირება</p> <p>22. როდესაც აუდიტორი ხელმძღვანელობის მიერ სააღრიცხვო შეფასების გამოსათვლელად გამოყენებული პროცესის ტესტირებას ატარებს, დამატებითი აუდიტის პროცედურები უნდა მოიცავდეს 23-26-ე პუნქტების შესაბამისად შემუშავებულ და ჩატარებულ პროცედურებს, რათა აუდიტორმა საკმარისი და შესაფერისი აუდიტის მტკიცებულებები მოიპოვოს არსებითი უზუსტობის რისკების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია:</p> <p>(იხ. პუნქტი გ94)</p>	<p>იხილეთ ქვემოთ 23-25 პუნქტების მოთხოვნებთან დაკავშირებული აუდიტორის საპასუხო ქმედებები (პროცედურები).</p>

29. ას 330, მე-9 პუნქტი.

30. ას 330, პუნქტები მე-15 და 21-ი.

ას 540 -ის (გადასინჯული) მოთხოვნების არჩევა <sup>17</sup>	აუდიტორის ცოდნა და მიდგომა <sup>18</sup>
<p>ა) იმ მეთოდების, მნიშვნელოვანი დაშვებებისა და მონაცემების შერჩევასა და გამოყენებასთან, რომლებიც ხელმძღვანელობამ გამოიყენა სააღრიცხვო შეფასებების გამოსათვლელად; და</p> <p>ბ) იმ მეთოდთან, რომლის გამოყენებითაც ხელმძღვანელობამ შეარჩია წერტილოვანი შეფასება და ჩამოაყალიბა განმარტებით შენიშვნებში გასამჟღავნებელი შესაბამისი ინფორმაცია შეფასების განუსაზღვრელობის შესახებ.</p>	
<p>მეთოდები</p> <p>23. მეთოდებთან მიმართებით 22-ე პუნქტის მოთხოვნების გამოყენებისას, აუდიტორის დამატებითი აუდიტის პროცედურები მიმართული უნდა იყოს იმის დადგენაზე:</p> <p>ა) შერჩეული მეთოდი ან, როდესაც შესაფერისია, წინა პერიოდებში გამოყენებული მეთოდის შეცვლა მისაღებია თუ არა ფინანსური ანგარიშების წარდგენის სათანადო საფუძვლების მოთხოვნების შესაბამისად; (იხ. პუნქტები გ95, გ97)</p>	<p>აუდიტორმა დეტალურად შეაფასა გამოყენების ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი, რათა დარწმუნებულიყო, რომ მოდელი შერჩეული, შემუშავებული და გამოყენებულია ფინანსური ანგარიშების წარდგენის სათანადო საფუძვლების შესაბამისად. აუდიტორმა დაადგინა, რომ მოდელში სათანადოდ იყო გათვალისწინებული დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელებთან დაკავშირებული ბასს 36-ის სპეციფიკური მოთხოვნები, კერძოდ:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ფულადი ნაკადების პროგნოზები ეყრდნობა გონივრულ დაშვებებს, რომლებიც წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ იმ ეკონომიკური პირობების საუკეთესო შეფასებას, რომლებიც იარსებებს აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გარე მტკიცებულებებს;</li> <li>• ფულადი ნაკადების პროგნოზების გამოთვლა ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებული უახლესი ფინანსური ბიუჯეტის/პროგნოზების საფუძველზე (ისეთი საკითხების გავლენის გაუთვალისწინებლად, როგორიცაა რესტრუქტურიზაცია ან აქტივების მწარმოებლურობის გაუმჯობესება) და საპროგნოზო ვადის შეზღუდვა არა უმეტეს ხუთ წლამდე;</li> </ul>

ასს 540 -ის (გადასინჯული) მოთხოვნების არჩევა <sup>17</sup>	აუდიტორის ცოდნა და მიღება <sup>18</sup>
	<ul style="list-style-type: none"> <li>• ექსტრაპოლაციის შედეგად მიღებული საპროგნოზო ამონაგების მაჩვენებლების გამოყენება, რომლებიც არ აღემატება გრძელვადიან საშუალო ზრდის ტემპს პროდუქციის, დარგების ან იმ ქვეყნის თუ ქვეყნების, სადაც საწარმო ფუნქციონირებს, ან იმ ბაზრის, სადაც აქტივი გამოიყენება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შესაძლებელია უფრო მაღალი მაჩვენებლის დასაბუთება და ფულადი ნაკადების ექსტრაპოლაცია არ ვრცელდება ისეთ მომავალ პერიოდზე, რომელიც აღემატება აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადას;</li> <li>• მომავალი ფულადი ნაკადების ისეთი შეფასებების განსაზღვრა, რომლებიც მოიცავს: <ul style="list-style-type: none"> <li>○ აქტივების უწყვეტი გამოყენების გათვალისწინებით მიღებულ ფულადი ნაკადების პროგნოზებს;</li> <li>○ იმ ფულადი სახსრების გადინების პროგნოზებს, რაც აუცილებელი იქნება აქტივის უწყვეტი გამოყენებიდან ფულადი სახსრების მისაღებად (იმ ფულადი სახსრების გადინების ჩათვლით, რაც საჭიროა აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად მომზადებისთვის) და შესაძლებელია აქტივზე მათი უშუალოდ მიკუთვნება, ან განაწილება რაიმე გონივრული და თანმიმდევრული მეთოდის საფუძველზე; და</li> <li>○ ნეტო ფულადი ნაკადები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, რომლებიც მიღებულ (ან გადახდილ) უნდა იქნეს აქტივის გასვლისთვის მისი სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს.</li> </ul> </li> </ul>

ასს 540 -ის (გადასინჯული) მოთხოვნების არჩევა <sup>17</sup>	აუდიტორის ცოდნა და მიღება <sup>18</sup>
	<ul style="list-style-type: none"> <li>• გამოთვლებიდან ისეთი ფულადი ნაკადების გამორიცხვა, რომლებიც უკავშირდება საფინანსო საქმიანობას, ანდა მოგების გადასახადის მიღებას ან გადახდას.</li> <li>• დაბეგვრამდელი დისკონტირების განაკვეთების გამოყენება, რომლებიც ასახავს: <ul style="list-style-type: none"> <li>○ ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებას; და</li> <li>○ ისეთ აქტივთან დაკავშირებული სპეციფიკური რისკების მიმდინარე საბაზრო შეფასებას, რომლისთვისაც მომავალი ფულადი ნაკადების შეფასება არ არის კორექტირებული.</li> </ul> <p>აუდიტორმა ხელმძღვანელობის დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი შეუდარა ხელმძღვანელობის მიერ წინა წელს მომზადებულ მოდელს და შენიშნა, რომ ხელმძღვანელობამ ცვლილებები შეიტანა მოდელში გამოყენებულ დაშვებებში, მაგრამ არ შეუცვლია გამოყენებული მეთოდი. შემდგომი გამოკვლევის შედეგად აუდიტორმა ეს მიზანშეწონილად მიიჩნია და დაადგინა, რომ ხელმძღვანელობის მიერ სააღრიცხვო შეფასების გმოსათვლელად გამოყენებული მეთოდი ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლების მოთხოვნებს შეესაბამება.</p> </li> </ul>
<p>ბ) მეთოდის შესარჩევად განხორციელებული განსჯა ხომ არ შეიცავს ხელმძღვანელობის შესაძლო მიკერძოების ნიშნებს; (იხ. პუნქტი გ96)</p>	<p>23 (ა) პუნქტის მიხედვით შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, აუდიტორს არ გამოუვლენია ხელმძღვანელობის მიერ მიღებული რაიმე ისეთი გადაწყვეტილება მეთოდის შერჩევასთან დაკავშირებით, რაც მიანიშნებდა ხელმძღვანელობის შესაძლო მიკერძოებაზე.</p>
<p>გ) გამოთვლები ჩატარდა თუ არა მეთოდის შესაბამისად და მათემატიკურად სწორია თუ არა;</p>	<p>აუდიტორმა შეამოწმა ელექტრონული (ექსელის) ცხრილის ფორმულა, რომელიც ხელმძღვანელობის მეთოდში იყო გამოყენებული და დაადგინა, რომ მოდელის გაანგარიშებები მათემატიკურად ზუსტი იყო.</p>

ას 540 -ის (გადასინჯული) მოთხოვნების არჩევა <sup>17</sup>	აუდიტორის ცოდნა და მიდგომა <sup>18</sup>
<p>დ) როდესაც ხელმძღვანელობის მეთოდის გამოყენება რთულ მოდელირებას საჭიროებს, თანამიმდევრულად გამოიყენა თუ არა ხელმძღვანელობამ განსჯა და, როდესაც შესაფერისია: (იხ. პუნქტი გ98-გ100)</p> <ul style="list-style-type: none"> <li>(i) მოდელის კონსტრუქცია, რომელიც აკმაყოფილებს ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლებით გათვალისწინებულ შეფასების მიზანს, მოცემული გარემოებებისთვის შესაფერისია თუ არა, ან წინა პერიოდის მოდელში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში – მოდელის ცვლილება შესაბამება თუ არა მოცემულ გარემოებებს; და</li> <li>(ii) მოდელის შედეგში შეტანილი კორექტირებები შეესაბამება თუ არა ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლებით გათვალისწინებულ შეფასების მიზანს და ასევე მოცემულ გარემოებებს; და</li> </ul>	<p>აუდიტორმა დაადგინა, რომ ხელმძღვანელობის მიერ გამოსაყენებლად შერჩეული მოდელი რთული იყო, მირითადად, იმის გამო, რომ შესაძლოა რთული იყოს მოდელში გამოყენებული მონაცემებისა და დაშვებების მთლიანობის (მაგ., სიზუსტე, ერთგვაროვნება/თანამიმდევრულობა ან სისრულე) შენარჩუნება, მრავალი შესაფასებელი პარამეტრის (ე.ი. დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელში გამოყენებული მრავალნაირი დაშვებები) და მათ შორის მრავალგვარი კავშირულთიერთობისა და გაანგარიშების მრავალი იტერაციის გამო. მაგალითად, მოდელი მოიცავს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოიქმნება ფოტოაპარატების მოდელების მრავალფეროვნებიდან და მრავალფეროვანი ამონაგების პროგნოზებიდან, რომლებიც დაკავშირებულია სხვადასხვა ბაზარსა და გეოგრაფიულ რეგიონში და სხვადასხვა ვალუტით გაყიდვებთან.</p> <p>აუდიტორმა შეაფასა მოდელის კონსტრუქცია და დაადგინა, რომ ის აკმაყოფილებს ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლებით განსაზღვრულ შეფასების მიზანს და შესაფერისი იყო ანაზღაურებადი ღირებულების გამოსათვლელად. გარდა ამისა, მირითადი პროცედურები ჩაატარა მოდელში გამოყენებული მნიშვნელოვანი დაშვებებისა და მონაცემების სისრულისა და სიზუსტის შესამოწმებლად. აუდიტორმა დაადგინა, რომ დაშვებები და მათ განსაზღვრასთან დაკავშირებული ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებები თანმიმდევრულად გამოიყენებოდა.</p> <p>აუდიტორმა ხელმძღვანელობის გამოვითხვისა და მიმდინარე პერიოდის მოდელის დოკუმენტაციისა და გაანგარიშებების შემოწმების შედეგად დაადგინა, რომ ხელმძღვანელობას არ დაუკორექტირებია მოდელის შედეგი, რაც მიზანშეწონილად მიიჩნია.</p>
<p>ე) მეთოდის გამოყენებისას შენარჩუნებული იყო თუ არა მნიშვნელოვანი დაშვებებისა და მონაცემების მთლიანობა. (იხ. პუნქტი გ101)</p>	<p>აუდიტორმა შეაფასა, შეინარჩუნა თუ არა ხელმძღვანელობამ მნიშვნელოვანი დაშვებებისა და მონაცემების მთლიანობა მირითადი საშუალებების გამოყენების ღირებულების დასადგენად მეთოდის გამოყენებისას. ამისათვის აუდიტორმა მოდელის დეტალური ტესტირება ჩაატარა, მათ შორის, შეამოწმა, რომ მონაცემები და დაშვებები მთლიანად და ზუსტად იყო გადატანილი შეფასების პროცესის თითოეული ეტაპიდან შემდგომ ეტაპზე, პრობლემების გარეშე.</p>

ას 540 -ის (გადასინჯული) მოთხოვნების არჩევა <sup>17</sup>	აუდიტორის ცოდნა და მიღება <sup>18</sup>				
მნიშვნელოვანი დაშვებები <p>24. მნიშვნელოვან დაშვებებთან მიმართებით 22-ე პუნქტის მოთხოვნების გამოყენებისას, აუდიტორის დამატებითი აუდიტის პროცედურები მიმართული უნდა იყოს იმის დადგენაზე:</p> <p>a) მნიშვნელოვანი დაშვებები, ან, როდესაც შესაფერისა, წინა პერიოდების შემდეგ მათში შეტანილი ცვლილებები მისაღებია თუ არა ფინანსური ანგარიშების წარდგენის სათანადო საფუძვლების მოთხოვნების შესაბამისად; (იხ. პუნქტები გ95, გ102-გ103)</p>	<p>გამოკითხვის პროცედურებისა და მგრძნობელობის ანალიზის გარდა, აუდიტორმა ჩაატარა ელემენტების ტესტები ამონაგების პროგნოზებთან, საპროგნოზო საოპერაციო მარჯებთან, კაპიტალურ დანახარჯებთან, საბრუნავი კაპიტალის მოთხოვნებთან და დისკონტირების განაკვეთთან მიმართებით, საკმარისი და შესაფერის აუდიტის მტკიცებულებების მოსაპოვებლად იმის თაობაზე, დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელების მნიშვნელოვანი დაშვებები რამდენად შესაბამისობაში იყო ბასს 36-ის მოთხოვნებთან. კერძოდ, აუდიტორმა ჩაატარა შემდეგი პროცედურები:</p> <table border="1"> <thead> <tr> <th data-bbox="974 482 1311 562">მნიშვნელოვანი დაშვება</th><th data-bbox="1311 482 2001 562">ჩატარებული პროცედურები</th></tr> </thead> <tbody> <tr> <td data-bbox="974 562 1311 1249">ამონაგების პროგნოზები</td><td data-bbox="1311 562 2001 1249"> <ul style="list-style-type: none"> <li>• ამ დაშვების სუბიექტურობის მაღალი დონისა და ხელმძღვანელობის მიკერძოების მიმართ მაღალი მგრძნობელობის გათვალისწინებით, აუდიტორმა ყურადღება გამახვილა ხელმძღვანელობის დასაბუთებაზე, რომლის მიხედვითაც შეარჩია მან მოდელში გამოყენებული ამონაგების პროგნოზები. კერძოდ, აუდიტორმა განიხილა ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებები იმის შესახებ, რატომ იყო უფრო შესაფერისი ამონაგების შერჩეული დონე, ვიდრე სხვა ხელმისაწვდომი ალტერნატივები და ასევე იყო თუ არა შერჩეული დაშვება შესაბამისობაში (ან უნდა ყოფილიყო თუ არა შესაბამისი) წინა პერიოდებთან, სანდო წყაროების საჯაროდ ხელმისაწვდომ ბაზრის მონაცემებსა და სხვა სააღრიცხვო შეფასებებში გამოყენებულ მსგავს დაშვებებთან.</li> </ul> </td></tr> </tbody> </table>	მნიშვნელოვანი დაშვება	ჩატარებული პროცედურები	ამონაგების პროგნოზები	<ul style="list-style-type: none"> <li>• ამ დაშვების სუბიექტურობის მაღალი დონისა და ხელმძღვანელობის მიკერძოების მიმართ მაღალი მგრძნობელობის გათვალისწინებით, აუდიტორმა ყურადღება გამახვილა ხელმძღვანელობის დასაბუთებაზე, რომლის მიხედვითაც შეარჩია მან მოდელში გამოყენებული ამონაგების პროგნოზები. კერძოდ, აუდიტორმა განიხილა ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებები იმის შესახებ, რატომ იყო უფრო შესაფერისი ამონაგების შერჩეული დონე, ვიდრე სხვა ხელმისაწვდომი ალტერნატივები და ასევე იყო თუ არა შერჩეული დაშვება შესაბამისობაში (ან უნდა ყოფილიყო თუ არა შესაბამისი) წინა პერიოდებთან, სანდო წყაროების საჯაროდ ხელმისაწვდომ ბაზრის მონაცემებსა და სხვა სააღრიცხვო შეფასებებში გამოყენებულ მსგავს დაშვებებთან.</li> </ul>
მნიშვნელოვანი დაშვება	ჩატარებული პროცედურები				
ამონაგების პროგნოზები	<ul style="list-style-type: none"> <li>• ამ დაშვების სუბიექტურობის მაღალი დონისა და ხელმძღვანელობის მიკერძოების მიმართ მაღალი მგრძნობელობის გათვალისწინებით, აუდიტორმა ყურადღება გამახვილა ხელმძღვანელობის დასაბუთებაზე, რომლის მიხედვითაც შეარჩია მან მოდელში გამოყენებული ამონაგების პროგნოზები. კერძოდ, აუდიტორმა განიხილა ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებები იმის შესახებ, რატომ იყო უფრო შესაფერისი ამონაგების შერჩეული დონე, ვიდრე სხვა ხელმისაწვდომი ალტერნატივები და ასევე იყო თუ არა შერჩეული დაშვება შესაბამისობაში (ან უნდა ყოფილიყო თუ არა შესაბამისი) წინა პერიოდებთან, სანდო წყაროების საჯაროდ ხელმისაწვდომ ბაზრის მონაცემებსა და სხვა სააღრიცხვო შეფასებებში გამოყენებულ მსგავს დაშვებებთან.</li> </ul>				

ასს 540 -ის (გადასინჯული) მოთხოვნების არჩევა <sup>17</sup>	აუდიტორის ცოდნა და მიღება <sup>18</sup>
	<ul style="list-style-type: none"> <li>აუდიტორმა გააანალიზა წინა პერიოდების ამონა-გების ფაქტობრივი ცვლილებები და რჩებოდა თუ არა ეს მონაცემები სავარაუდო სამომავლო ამონა-გებისთვის კარგ ინდიკატორად, ბაზართან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ცვლილებებისა და დარგის მასშტაბით სამომხმარებლო ფოტოაპარატების გაყიდვების კლების გათვალისწინებით.</li> <li>აუდიტორმა შეაფასა, რამდენად შეესაბამებოდა სუბიექტის პროგნოზები დარგის ან ბაზრის მონაცემებს და კომერციულ პუბლიკაციებში გამოქვეყნებულ მონაცემებს. გარდა ამისა, შეაფასა ამ მტკცებულებების სანდოობა მონაცემების წყაროს სანდოობისა და რეპუტაციის გათვალისწინებით.</li> <li>აუდიტორმა შეაფასა ხელმძღვანელობის წარსული პროგნოზების სიზუსტე.</li> </ul>
პროგნოზირებული საოპერაციო მარჟები	<ul style="list-style-type: none"> <li>აუდიტორმა პროგნოზირებული საოპერაციო მარჟები შეუდარა წინა პერიოდების შედეგებს და დარგის/ბაზრის მონაცემებს და შეაფასა, ფაქტიური ისტორიული მარჟა დარჩა თუ არა სავარაუდო სამომავლო მარჟის დონის კარგ ინდიკატორად, ბაზართან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ცვლილებებისა და დარგის მასშტაბით სამომხმარებლო ფოტოაპარატების გაყიდვების კლებისა და საოპერაციო მარჟებზე ამ ცვლილებების გავლენის გათვალისწინებით.</li> <li>აუდიტორმა განიხილა, სათანადოდ ასახავდა თუ არა დანახარჯების პროგნოზები იჯარის ხელშეკრულების, მომწოდებლების ან დასაქმების, ან სხვა ხელშეკრულებების ფასის ზრდის გავლენას.</li> </ul>

ასს 540 -ის (გადასინჯული) მოთხოვნების არჩევა <sup>17</sup>	აუდიტორის ცოდნა და მიდგომა <sup>18</sup>
	<p>კაპიტალური დანახარჯები (რომლის გაწევა აუცილებლად არის მიჩნეული აქტივების უწყვეტი გამოყენების უზრუნველსაყოფად)</p> <ul style="list-style-type: none"> <li>აუდიტორმა დაადგინა, რომ სუბიექტის სამოვლო ბიზნესგეგმები ეყრდნობა ახალი პროდუქტის გამოშვებას. ხელმძღვანელობა ახალი პროდუქტის წარმოებას აპირებს არსებულ ქარხანაში, არსებული მანქანა-დანადგრების გაუმჯობესებაში ინვესტირებით, რაც აუცილებელია იმისთვის, რომ ქარხანაში შესაძლებელი იყოს ახალი პროდუქტის წარმოება და შენარჩუნებული იყოს ახლანდელი სიმძლავრის შესაბამისი წარმოების მოცულობები.</li> <li>აუდიტორმა შეაფასა, მოდელში შეტანილი პროგნოზირებული კაპიტალური დანახარჯები იყო თუ არა გონივრული დონის, არსებული ქარხნის გაუმჯობესებისა და შემდგომი ექსპლუატაციის უზრუნველსაყოფად და პროგნოზირებული ამონაგების მოცულობები ასახავდა თუ არა ახლანდელ სიმძლავრეს.</li> </ul>
საბრუნავ კაპიტალზე მოთხოვნები	<ul style="list-style-type: none"> <li>აუდიტორმა შეაფასა ნეტო საბრუნავი კაპიტალის ზრდის დონე და დაადგინა, რომ ის შეესაბამებოდა ამონაგებისა და მარჟების საპრონოზო ზრდას.</li> </ul>

ასს 540 -ის (გადასინჯული) მოთხოვნების არჩევა <sup>17</sup>	აუდიტორის ცოდნა და მიღება <sup>18</sup>
	<p>დისკონტირების განაკვეთი</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• დისკონტირების განაკვეთის განსაზღვრასთან დაკავშირებული თანდაყოლილი სუბიექტურობის მაღალი დონისა და ხელმძღვანელობის მიკერძოების მიმართ მისი მაღალი მგრძნობელობის გათვალისწინებით, აუდიტორმა ყურადღება გაამახვილა შესაბამისი დისკონტირების განაკვეთის განსაზღვრისა და შერჩევის შესახებ ხელმძღვანელობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე, კერძოდ, რომელიც ეხებოდა „ბეტა“ კოეფიციენტის შესაფერისი სიდიდის დადგენას კაპიტალის ღირებულების გამოსათვლელად.</li> <li>• აუდიტორმა შეაფასა, ხელმძღვანელობის არჩევანი შეესაბამებოდა თუ არა წინა პერიოდებსა და ხელმძღვანელობის სხვა დაშვებებს და ხელმძღვანელობას მოსთხოვა იმის დასაბუთება, რომ მოდელისთვის შერჩეული ამოსავალი მონაცემები უფრო შესაფერისი იყო, ვიდრე დანარჩენი ხელმისაწვდომი ალტერნატივები;</li> <li>• გარდა ამისა, აუდიტორმა ეს დისკონტირების განაკვეთი შეუდარა იმავე დარგის სხვა სუბიექტების მიერ გამოყენებულ განაკვეთებს და დაადგინა, რომ დისკონტირების განაკვეთი განსაზღვრული იყო გადასახადების გადახდამდე და ასახავდა ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ ყველანაირ სპეციფიკურ რისკს, რომლის გათვალისწინებით ჯერ კიდევ არ იყო კორექტირებული პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.</li> </ul>

ას 540 -ის (გადასინჯული) მოთხოვნების არჩევა <sup>17</sup>	აუდიტორის ცოდნა და მიდგომა <sup>18</sup>
	<p>ამ პროცედურების გარდა, აუდიტორმა მიმოიხილა ფირმის პროფესიონალი შემფასებლის მიერ მომზადებული შედეგების მემორანდუმი დისკონტირების განაკვეთის შესახებ (იხ. მე-15 პუნქტი), შეაფასა შემფასებლის მიერ გამოვლენილი ფაქტების რელევანტურობა და გონივრულობა, ჩაატარა აუცილებელი დამატებითი პროცედურები შემფასებლის მიერ დაყენებულ გადაუჭრელ საკითხებთან დაკავშირებით და დაადგინა, რომ შეთანხმებული შედეგების საბოლოო ვერსიები (მაგ. მემორანდუმი და შემფასებლების მიერ მომზადებული ნებისმიერი დამხმარე დოკუმენტი) აისახა აუდიტის სამუშაო დოკუმენტებში.</p> <p>ზემოაღნიშნული პროცედურების შესრულებისას, აუდიტორმა აღმოაჩინა, რომ ხელმძღვანელობის მიერ შერჩეული ამონაგების პროგნოზის დაშვებები გამოქვეყნებულ დარგობრივ საპროგნოზო მონაცემებთან შედარებით უფრო ოპტიმისტურად გამოიყურება. ჩაატარებული პროცედურების საფუძველზე კი დაადგინა, რომ სხვა მნიშვნელოვანი დაშვებები შესაფერისი იყო ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლების მოთხოვნების.</p> <p>[შენიშვნა: ამონაგების პროგნოზთან დაკავშირებული აუდიტორის საპასუხო ქმედებები/პროცედურები განხილულია ქვემოთ ამავე მაგალითში.]</p>
ბ) მნიშვნელოვანი დაშვებების შესარჩევად განხორციელებული განსჯა ხომ არ შეიცავს ხელმძღვანელობის შესაძლო მიკერძოების ნიშნებს; (იხ. პუნქტი გ96)	<p>მას შემდეგ რაც პროცედურები ჩაატარა ხელმძღვანელობის მიერ მნიშვნელოვანი დაშვებების შერჩევისას გამოყენებულ პროცესზე, კერძოდ, შეაფასა რა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელში გამოყენებული დისკონტირების განაკვეთის და ამონაგების პროგნოზების მიზანშეწონილობა, აუდიტორმა გამოავლინა ხელმძღვანელობის შესაძლო მიკერძოების ინდიკატორი ამონაგების პროგნოზის დაშვებების შერჩევაში, რომლებიც ოპტიმისტურად გამოიყურება გამოქვეყნებულ დარგობრივ საპროგნოზო მონაცემებთან შედარებით. აუდიტორს არ გამოუვლენია ხელმძღვანელობის შესაძლო მიკერძოების სხვა ინდიკატორები.</p> <p>[შენიშვნა: ხელმძღვანელობის შესაძლო მიკერძოების ამ ინდიკატორთან დაკავშირებული აუდიტორის საპასუხო ქმედებები/პროცედურები განხილულია ქვემოთ ამავე მაგალითში]</p>

ას 540 -ის (გადასინჯული) მოთხოვნების არჩევა <sup>17</sup>	აუდიტორის ცოდნა და მიდგომა <sup>18</sup>
<p>გ) მნიშვნელოვანი დაშვებები შესაბამისობაშია თუ არა ერთმანეთთან და სხვა სააღრიცხვო შეფასებებში, ან სუბიექტის სამეწარმეო საქმიანობის სხვა სფეროებში გამოყენებულ დაკავშირებულ დაშვებებთან, აუდიტის პროცესში აუდიტორის მიერ შეძენილი ცოდნის საფუძველზე; და (იხ. პუნქტი გ104)</p>	<p>ზემოთ მითითებული 24(ა) პუნქტის საპასუხოდ ჩატარებული პროცედურების გარდა, აუდიტორმა შეაფასა, დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელში გამოყენებული ამონაგების პროგნოზის დაშვებები და პროგნოზირებული საოპერაციო მარჟები იყო თუ არა ერთმანეთის თავსებადი, ამ დაშვებებს შორის უშუალო კავშირულთიერთობების გათვალისწინებით.</p> <p>აუდიტორმა ასევე მოდელში გამოყენებული დაშვებები შეუდარა დამტკიცებულ ბიუჯეტებსა და სხვა დამტკიცებულ პროგნოზებს, მათ შორის სუბიექტის ფუნქციონირებადობის სტატუსის შეფასების ფარგლებში მომზადებულ დაშვებებსა და პროგნოზებს.</p> <p>ამ პროცედურებისა და სხვა მნიშვნელოვან დაშვებებთან დაკავშირებით ჩატარებული პროცედურების საფუძველზე აუდიტორმა დაადგინა, რომ ხელმძღვანელობის მნიშვნელოვანი დაშვებები შესაბამისობაში იყო ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებისას გამოყენებულ სხვა მნიშვნელოვან დაშვებებსა და სხვა სააღრიცხვო შეფასებებში გამოყენებულ დაშვებებთან.</p>
<p>დ) როდესაც შესაფერისია, ხელმძღვანელობას განზრახული აქვს თუ არა რაიმე კონკრეტული ზომების მიღება და აქვს თუ არა მათი განხორციელების შესაძლებლობა. (იხ. პუნქტი გ105)</p>	<p>აუდიტორმა დაადგინა, რომ ხელმძღვანელობის დისკონტირებულ ფულად ნაკადების გათვალისწინებული ამონაგების პროგნოზი მოიცავდა ახალი, დაბალი ღირებულების, მაღალი ხარისხის ფოტოაპარატებიდან მისაღებ ფულად ნაკადებს, რომლის წარმოებასაც გეგმავნ არსებული საწარმოო სიმძლავრის გამოყენებით. ახალი ფოტოაპარატის შექმნა ჯერ ისევ კვლევისა და განვითარების ფაზაზეა და მისი ბაზარზე გატანა დაგეგმილია მიმდინარე წლის საანგარიშებო თარიღიდან 18 თვის შემდეგ. აუდიტორმა შემდეგი პროცედურების საშუალებით გაარკვია, რომ ხელმძღვანელობას ჰქონდა ახალი პროდუქტის მიწოდების განზრახვა და შესაძლებლობა:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ხელმძღვანელობის მიერ ახალი ფოტოაპარატების შექმნისა და გამოშვების საქმეში წარსულში მიღწეული წარმატებისა და მისი რეალიზებისთვის დახარჯული დროის მიმოხილვა;</li> <li>• კვლევისა და განვითარების პროექტის წამყვან სპეციალისტებსა და წარმოების ქვედანაყოფის აღმასრულებელ პირებთან გასაუბრება, მათი მოსაზრებების შესაფასებლად პროდუქტის წარმოებაში ჩაშვების სავარაუდო თარიღისა და იმის შესახებ, საჭიროებს თუ არა არსებული საწარმო რაიმე მნიშვნელოვან გარდაქმნას;</li> <li>• წერილობითი გეგმებისა და სხვა დოკუმენტაციის, მათ შორის, ოფიციალურად დამტკიცებული ბიუჯეტის, ნებართვების ან აქმების შემოწმება.</li> </ul>

ასს 540 -ის (გადასინჯული) მოთხოვნების არჩევა <sup>17</sup>	აუდიტორის ცოდნა და მიდგომა <sup>18</sup>
	<ul style="list-style-type: none"> <li>• ხელმძღვანელობის გამოკითხვა იმის თაობაზე, თუ რა მიზეზით იგეგმება ახალი პროდუქტის წარმოება არსებული მანქანა-დანადგარებით, ახალ მანქანა-დანადგარებში და მოწყობილობებში ინვესტიციის ჩადების ნაცვლად.</li> <li>• ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდეგ, მაგრამ აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მომხდარი მოვლენების განხილვა, მათ შორის ხელმძღვანელობის ახალი პროდუქტის კვლევისა და განვითარების პროექტის შესრულება გრაფიკის მიხედვით მიმდინარეობს თუ არა და ხელმძღვანელობამ იმ დონის ინვესტირება განახორციელა თუ არა მთავარ ადჭურვილობაში, რომელიც გათვალისწინებული იყო დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელში.</li> </ul>
<p>მონაცემები</p> <p>25. მონაცემებთან მიმართებით 22-ე პუნქტის მოთხოვნების გამოყენებისას, აუდიტორის დამატებითი აუდიტის პროცედურები მიმართული უნდა იყოს იმის დადგენაზე:</p> <p>ა) მოცემული მონაცემები, ან, როდესაც შესაფერისია, წინა პერიოდების შემდეგ მათში შეტანილი ცვლილებები მისაღებია თუ არა ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლების მოთხოვნების შესაბამისად; (იხ. პუნქტები გ95, გ106);</p>	<p>აუდიტორმა გამოყენებულ მონაცემებზე ჩაატარა ელემენტების ტესტები, შეადარა შესაბამის დამადასტურებელ დოკუმენტაციასთან და დაადგინა, რომ მოდელში გამოყენებული მონაცემები მისაღები იყო ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლების მოთხოვნების გათვალისწინებით, იყო რელევანტური და საიმედო, ხოლო წინა პერიოდის შემდეგ გამოყენებულ მონაცემებში შეტანილი ცვლილებები ადეკვატური იყო. შემოწმებული მონაცემები, სხვასთან ერთად, მოიცავდა:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• წინა პერიოდების ფულად ნაკადებს, მათ შორის ამონაგებისა და საოპერაციო მარჟების მონაცემებს.</li> <li>• აქტივების ისტორიულ საბალანსო ღირებულებებს;</li> <li>• დისკონტირების განაკვეთის დაშვებების განსაზღვრისთვის გამოყენებულ ურისკო საპროცენტო განაკვეთებს;</li> <li>• სახელშეკრულებო პირობებს;</li> <li>• დამოუკიდებელ გარე მონაცემებს (მაგ., ბაზრის ან დარგის მაჩვენებლები), ხელმძღვანელობის დაშვებებთან დაკავშირებით.</li> </ul> <p>ამ პროცედურების საფუძველზე, აუდიტორმა დაადგინა, რომ სააღრიცხვო შეფასების გამოთვლისას გამოყენებული მონაცემები შესაფერისი იყო ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლების კონტექსტში.</p>

ას 540 -ის (გადასინჯული) მოთხოვნების არჩევა <sup>17</sup>	აუდიტორის ცოდნა და მიდგომა <sup>18</sup>
ბ) მონაცემების შესარჩევად განხორციელებული განსჯა ხომ არ შეიცავს ხელმძღვანელობის შესაძლო მიკერძოების ნიშნებს; (იხ. პუნქტი გ96)	აუდიტორს არ გამოუვლენია ხელმძღვანელობის მიერ მიღებული რაიმე ისეთი გადაწყვეტილება მონაცემთა შერჩევასთან დაკავშირებით, რაც მიანიშნებდა ხელმძღვანელობის შესაძლო მიკერძოებაზე.
გ) მონაცემები რელევანტური და საიმედოა თუ არა მოცემულ გარემოებებში; და (იხ. პუნქტი გ107)	იხილეთ 25 (ა) პუნქტთან დაკავშირებით აუდიტორის მიერ ჩატარებული პროცედურები, რომლებიც მოიცავს მოსაზრებას იმის თაობაზე, გამოყენებული მონაცემები იყო თუ არა რელევანტური და საიმედო მოცემულ გარემოებებში
დ) ხელმძღვანელობამ სწორად გაიგო თუ არა მონაცემები, მათ შორის სახელშეკრულებო პირობებთან დაკავშირებული; (იხ. პუნქტი გ108)	25 (ა) პუნქტთან დაკავშირებით ჩატარებული პროცედურების საფუძველზე აუდიტორმა დაადგინა, რომ ხელმძღვანელობას სათანადოდ ჰქონდა გაეგებული გამოყენებული მონაცემები და მათი მნიშვნელობა, მათ შორის, სახელშეკრულებო პირობებთან დაკავშირებული მონაცემები.
<p>ხელმძღვანელობის მიერ წერტილოვანი შეფასებისა და შეფასების განუსაზღვრელობის შესახებ განმარტებით შენიშვნებში გასამჟღავნებელი შესაბამისი ინფორმაციის შერჩევა</p> <p>26. 22-ე პუნქტის მოთხოვნების გამოყენებისას, აუდიტორის დამატებითი აუდიტის პროცედურები მიმართული უნდა იყოს იმის დადგენაზე, ხელმძღვანელობამ, ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლების მოთხოვნების გათვალისწინებით, სათანადო ზომები მიიღო თუ არა:</p> <p>ა) შეფასების განუსაზღვრელობის გამოსაკვლევად; და (იხ. პუნქტი გ109)</p>	<p>მეთოდების, მნიშვნელოვანი დაშვებებისა და მონაცემების ტესტირების საფუძველზე აუდიტორმა დაადგინა, რომ ხელმძღვანელობამ მიიღო შესაბამისი ზომები შეფასების განუსაზღვრელობის შესაცნობად და მასზე რეაგირებისთვის. ვინაიდან ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გაამჟღავნა სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ეძღვნება გაუფასურების შეფასების პროცესთან დაკავშირებულ შეფასების განუსაზღვრელობის აღწერას (მაგ., ინფორმაცია შესაძლო შედეგების დიაპაზონის და მისი განსაზღვრისთვის გამოყენებული დაშვებების შესახებ), აუდიტორმა ასევე შეაფასა, რომ განმარტებითი შენიშვნებიდან ჩანდა, რომ ხელმძღვანელობას შეფასების განუსაზღვრელობა სათანადოდ ჰქონდა გაცნობიერებული და ადეკვატურად აღწერილი განმარტებით შენიშვნებში.</p>

ას 540 -ის (გადასინჯული) მოთხოვნების არჩევა <sup>17</sup>	აუდიტორის ცოდნა და მიდგომა <sup>18</sup>
<p>ბ) შეფასების განუსაზღვრელობის შესამცირებლად სათანადო წერტილოვანი შეფასების შერჩევითა და შეფასების განუსაზღვრელობის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის გამჟღავნებით განმარტებით შენიშვნებში. (იხ. პუნქტები გ110–გ114)</p>	<p>მართალია, აუდიტორის შეფასებით, ხელმძღვანელობას გაცნობიერებული ჰქონდა სააღრიცხვო შეფასებასთან დაკავშირებული შეფასების განუსაზღვრელობა, მაგრამ მან მაინც პრობლემა გამოავლინა ანაზღაურებადი ღირებულების წერტილოვანი შეფასების განსაზღვრისას ხელმძღვანელობის მიერ შერჩეულ და გამოყენებულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან დაშვებასთან დაკავშირებით. კონკრეტული პრობლემა უკავშირდებოდა ხელმძღვანელობის მიერ შერჩეული ამონაგების პროგნოზებს, რომლებიც ოპტიმისტურად გამოიყერებოდა გამოქვეყნებულ დარგობრივ საპროგნოზო მონაცემებსა და სუბიექტის ბოლოდროინდელი საქმიანობის ფინანსურ შედეგებთან შედარებით.</p>
<p>27. თუ მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით აუდიტორი გადაწყვეტს, რომ ხელმძღვანელობამ სათანადო ზომებს არ მიმართა შეფასების განუსაზღვრელობის გამოსაკვლევად ან შესამცირებლად, აუდიტორმა უნდა: (იხ. პუნქტები გ115–გ117)</p> <p>ა) მოსთხოვოს ხელმძღვანელობას დამატებითი პროცედურების ჩატარება შეფასების განუსაზღვრელობის გამოსაკვლევად ან მის შესამცირებლად, თავისი შერჩეული წერტილოვანი შეფასების გადახედვით, ან შეფასების განუსაზღვრელობის შესახებ დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნების საჭიროების საკითხის განხილვით და ამის შემდეგ შეაფასოს ხელმძღვანელობის მიერ 26-ე პუნქტის შესაბამისად განხორციელებული საპასუხო ქმედება (ქმედებები);</p>	<p>ვინაიდან აუდიტორმა პრობლემა გამოავლინა ანაზღაურებადი ღირებულების წერტილოვანი შეფასების განსაზღვრისთვის ხელმძღვანელობის მიერ შერჩეულ და გამოყენებულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან დაშვებასთან დაკავშირებით, მან ხელმძღვანელობას მოსთხოვა დამატებითი პროცედურების ჩატარება დისკონტირებულ ფულად ნაკადებში გამოყენებული დაშვებების მიზანშეწონილობის ხელახლა შესაფასებლად, მათ შორის, მოსთხოვა დამატებითი დასაბუთებისა და დამატებითი დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა სხვა ხელმისაწვდომ აუდიტის მტკიცებულებებთან ამონაგების პროგნოზის აშკარა შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად.</p> <p>ხელმძღვანელობა დათანხმდა დამატებითი პროცედურების ჩატარებას. შედეგად დაეთანხმა აუდიტორის მიერ დაყენებულ პრობლემას და, შესაბამისად გამოიყენა ამონაგების გაცილებით უფრო კონსერვატიული პროგნოზი, რომელიც შესაბამისობაში იყო გამოქვეყნებულ დარგობრივ საპროგნოზო მონაცემებთან და სუბიექტის ბოლოდროინდელ ფინანსურ მაჩვენებლებთან. ახალი პროგნოზის შესაბამისად ხელმძღვანელობამ არსებითად შეცვალა გაუფასურების შეფასების გამოსათვლელად გამოყენებული ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება. გაუფასურების შეფასების კორექტირებამ გამოიწვია სუბიექტის მიერ ადრე აღიარებული გაუფასურების ანარიცხის არსებითად გაზრდა, რაც გაასწორა ხელმძღვანელობამ.</p>
<p>ბ) განსაზღვროს საკუთარი (აუდიტორის) წერტილოვანი შეფასება ან შეფასებების დიაპაზონი 28-29-ე პუნქტების შესაბამისად, თუ აუდიტორი დაადგენს, რომ მისი მოთხოვნის საპასუხოდ ხელმძღვანელობის მიერ მიღებული ზომა შეფასების განუსაზღვრელობას საკმარისად არ ამცირებს, შესაძლებლობის ფარგლებში; და</p>	<p>აუდიტორმა დაადგინა, რომ აუდიტორის მოთხოვნასთან დაკავშირებით ხელმძღვანელობის მიერ გატარებულმა ზომამ საკვარის დონეზე შეამცირა ამ შეფასებასთან დაკავშირებული შეფასების განუსაზღვრელობა და, შესაბამისად, აუცილებლად აღარ მიიჩნია, რომ თვითონ დამოუკიდებლად უნდა განესაზღვრა საკუთარი წერტილოვანი შეფასება ან შეფასებების დიაპაზონი.</p>

ას 540 -ის (გადასინჯული) მოთხოვნების არჩევა <sup>17</sup>	აუდიტორის ცოდნა და მიდგომა <sup>18</sup>
<p>გ) შეფასოს, არსებობს თუ არა შიდა კონტროლის რაიმე ნაკლოვანება, ხოლო თუ არსებობს, ამ საკითხის ინფორმირება განახორციელოს ას 265-ის მოთხოვნების შესაბამისად.<sup>31</sup></p>	<p>აუდიტორმა დაასკვნა, რომ ამონაგების არასათანადო ზრდის ტემპის არჩევა მიანიშნებდა კონტროლის ნაკლოვანებაზე და ვინაიდან ამან გამოიწვია ფინანსური ანგარიშგების არსებითი კორექტირების საჭიროება, მან მიიჩნია, რომ ეს მნიშვნელოვანი ნაკლოვანება იყო ხელმძღვანელობის მიერ დადგენილი მიმოხილვის კონტროლის პროცედურის, რომლის შესახებაც დროულად უნდა ეცნობებინა მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის.</p> <p>[შენიშვნა: ამ მნიშვნელოვან ნაკლოვანებასთან დაკავშირებით აუდიტორის მიერ მიღებული საპასუხო ზომები განხილულია ქვევით ამავე მაგალითში.]</p>
<p>აუდიტის მტკიცებულებებთან დაკავშირებით გასათვალისწინებელი სხვა საკითხები</p> <p>30. სააღრიცხვო შეფასებებთან დაკავშირებული არსებითი უზუსტობის რისკების შესახებ აუდიტის მტკიცებულებების მოსაპოვებლად აუდიტორმა უნდა დაიცვას ას 500-ის შესაბამისი მოთხოვნები, იმ ინფორმაციის წყაროების მიუხედავად, რომლის გამოყენებასაც აპირებს აუდიტის მტკიცებულების სახით.</p> <p>თუ აუდიტორი ხელმძღვანელობის ექსპერტის მიერ შესრულებულ სამუშაოს იყენებს, წინამდებარე ას-ის 21-29-ე პუნქტების მოთხოვნები შეიძლება აუდიტორს დაეხმაროს შესაბამისი მტკიცების შესახებ აუდიტის მტკიცებულების სახით ექსპერტის სამუშაოს გამოყენების მიზანშეწონილობის შეფასებაში ას 500-ის 8(გ)</p>	<p>ანაზღაურებადი ღირებულების შეფასების შემოწმებისას აუდიტორი ყურადღებით გაეცნო აუდიტის მტკიცებულების სახით გამოყენებული ინფორმაციის წყაროებს. დისკონტირებული ფულადი ნაკადების დამვებების მომზადებისას ხელმძღვანელობამ მოიპოვა მონაცემები დარგის შესაბამისი მაჩვენებლების შესახებ მესამე მხარის სანდო წყაროდან, რომელიც სპეციალიზებულია მოცემული დარგის ანალიზში. მათი საიმედოობის შესაფასებლად აუდიტორმა ეს მონაცემები შეუდარა ალტერნატიული დამოუკიდებელი წყაროდან მიღებულ ინფორმაციას, რომელიც სპეციალიზებულია მსგავსი დარგის ანალიზში. აუდიტორმა დაადგინა, რომ ალტერნატიული წყაროდან მიღებული მონაცემები შეესაბამებოდა ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ მონაცემებს. გარდა ამისა, სუბიექტის მიერ დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელის მომზადებისას გამოყენებული ინფორმაციის საიმედოობაში (მაგ., სისრულე და სიზუსტე) დასარწმუნებლად აუდიტორმა დამატებითი პროცედურებიც ჩაატარა.</p>

31. ას 265 – „მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისა და ხელმძღვანელობის ინფორმირება შედა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ“.

ას 540 -ის (გადასინჯული) მოთხოვნების არჩევა <sup>17</sup>	აუდიტორის ცოდნა და მიღება <sup>18</sup>
<p>პუნქტის შესაბამისად. ხელმძღვანელობის ექსპერტის სამუშაოს შეფასებისას, ჩასატარებელი დამატებითი აუდიტის პროცედურების ხასიათზე, ვადებსა და მოცულობაზე გავლენას იქონიებს ექსპერტის კომპეტენტურობის, შესაძლებლობებისა და ობიექტურობის აუდიტორისეული შეფასება, რამდენად ერკვევა აუდიტორი ექსპერტის მიერ შესრულებული სამუშაოს ხასიათში და რამდენად ინფორმირებულია ამ ექსპერტის შესაფერისი ექსპერტული ცოდნის სფეროს შესახებ. (იხ. პუნქტები გ126-გ132)</p>	<p>ხელმძღვანელობას ანაზღაურებადი ღირებულების შესაფასებლად არ გამოუყენებია ექსპერტი.</p>
<p><b>სააღრიცხვო შეფასებებთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნები</b></p>	
<p>31. აუდიტორმა უნდა დაგეგმოს და ჩაატაროს დამატებითი აუდიტის პროცედურები საკმარისი და შესაფერისი აუდიტის მტკიცებულებების მოსაპოვებლად სააღრიცხვო შეფასების შესახებ განმარტებით შენიშვნებში გამჟღავნებულ ინფორმაციასთან დაკავშირებული კონკრეტული მტკიცების დონეზე შეფასებული არსებითი უზუსტობის რისკების შესახებ, იმ მტკიცებულებების დამატებით, რომლებიც ეხება შეფასების განუსაზღვრელობასთან დაკავშირებით 26(ბ) და 29(ბ) პუნქტების შესაბამისად გამჟღავნებულ ინფორმაციას.</p>	<p>გაუფასურების შესახებ განმარტებითი შენიშვნებში გამჟღავნებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით აუდიტორმა ჩაატარა „ელემენტების ტესტები, მათ შორის შემდეგი პროცედურები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ტესტები იმის დასადგენად, განმარტებითი შენიშვნებში გამჟღავნებულია თუ არა ინფორმაცია თითოეული აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულების შესახებ, რომლისთვისაც პერიოდის განმავლობაში გაუფასურების ზარალი ან გაუფასურების ზარალის აღდგენა აღიარდა;</li> <li>• ტესტები იმის დასადგენად, თითოეული გამჟღავნებული ანაზღაურებადი ღირებულება არის თუ არა დაკავშირებული აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი; და</li> <li>• განმარტებითი შენიშვნებში გამჟღავნებული ინფორმაცია შესაბამისობაშია თუ არა დაკავშირებულ დამადასტურებელ დოკუმენტებთან.</li> </ul>

ასს 540 -ის (გადასინჯული) მოთხოვნების არჩევა <sup>17</sup>	აუდიტორის ცოდნა და მიღება <sup>18</sup>
<p><b>ხელმძღვანელობის შესაძლო მიკერძოების ნიშნები</b></p> <p>32. აუდიტორმა უნდა შეაფასოს, ხელმძღვანელობის მიერ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ სააღრიცხვო შეფასებებთან დაკავშირებით განხორციელებული განსჯა და მიღებული გადაწყვეტილებები შეიცავს თუ არა ხელმძღვანელობის შესაძლო მიკერძოების ნიშნებს, თუნდაც ეს სააღრიცხვო შეფასებები ინდივიდუალურად დასაბუთებული იყოს. თუ გამოვლინდება ხელმძღვანელობის შესაძლო მიკერძოების ნიშნები, აუდიტორმა უნდა შეაფასოს ამ სიტუაციის გავლენა აუდიტზე. თუ შეცდომაში შეყვანის განზრახვა არსებობს, მაშინ ხელმძღვანელობის მიკერძოება, თავისი ბუნებით, თაღლითობაა. (იხ. პუნქტები გ133–გ136)</p>	<p>აუდიტორმა შეაფასა ხელმძღვანელობის განსჯა და მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხებოდა ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას სხვა სააღრიცხვო შეფასებების გამოთვლას.</p> <p>აუდიტორმა გაარკვია, რომ ხელმძღვანელობის მიერ შერჩეული ამონაგების პროგნოზები ოპტიმისტურად გამოიყურებოდა და ეს მიანიშნებდა ხელმძღვანელობის შესაძლო მიკერძოებაზე. აუდიტორმა გამოიკვლია ამგვარი ოპტიმისტური ხედვის მიზეზი და დაადგინა, რომ ეს დაკავშირებული იყო ბაზრის კვლევის განახლებულ ანგარიშთან, რომელიც გამოქვეყნდა ხელმძღვანელობის მიერ დაშვებების შერჩევის შემდეგ და მიუთითებდა ბაზრის ვარდნის უფრო მაღალ ტემპზე, ვიდრე ნაჩვენები იყო წინა ანალიტიკურ ანგარიშებში. აუდიტორმა გაითვალისწინა რა ზემოაღნიშნული და ასევე ხელმძღვანელობის მზაობა, გადახედოს შეფასების შერჩევის საკითხს ნებისმიერ დროს, აუცილებლობის შემთხვევაში, აუდიტორმა დაასკვნა, რომ ოპტიმისტური პროგნოზების გამოყენება განპირობებული არ იყო ხელმძღვანელობის მიკერძოებით და არც შეცდომაში შეყვანის მცდელობას წარმოადგენდა. ამგვარად, ეს სიტუაცია აუდიტორმა არ მიიჩნია თაღლითობის გაზრდილი რისკის მიმანიშნებლად.</p> <p>ხელმძღვანელობის მიერ შერჩეული ამონაგების პროგნოზის დაშვების შეცვლამ მოაგვარა საკითხი, რომელიც აუდიტორს ეჭვს უჩენდა ამ შეფასების მიზანთან დაკავშირებით, მაგრამ აუდიტორმა მაინც განიხილა, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სამართლიანი ღირებულების სხვა შეფასებები ხომ არ შეიცავდა ოპტიმისტურ დაშვებებს. აუდიტორს არ გამოუვლენია სხვა არასათანადო ოპტიმისტური დაშვება, რაც ხელმძღვანელობის შესაძლო მიკერძოების მიმანიშნებელი იქნებოდა.</p>

ას 540 -ის (გადასინჯული) მოთხოვნების არჩევა <sup>17</sup>	აუდიტორის ცოდნა და მიდგომა <sup>18</sup>
<b>საერთო შეფასება ჩატარებულ აუდიტის პროცედურებზე დაყრდნობით</b>	
<p>33. სააღრიცხვო შეფასებების მიმართ ას 330-ის გამოყენებისას,<sup>32</sup> აუდიტორმა ჩატარებულ აუდიტის პროცედურებსა და მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით უნდა შეაფასოს: (იხ. პუნქტები გ137–გ138)</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ა) მტკიცების დონეზე განსაზღვრული არსებითი უზუსტობის რისკების შეფასებები ისევ მისაღებია თუ არა, მათ შორის იმ შემთხვევაში, როდესაც გამოვლენილია ხელმძღვანელობის შესაძლო მიკერძოების ნიშნები;</li> <li>ბ) ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხება ფინანსურ ანგარიშებაში ამ სააღრიცხვო შეფასებების აღიარებას, შეფასებას, წარდგენასა და მათ შესახებ განმარტებით შენიშვნებში ინფორმაციის გამჟღავნებას, შეესაბამება თუ არა ფინანსური ანგარიშების წარდგენის სათანადო საფუძვლების მოთხოვნებს; და</li> <li>გ) მოპოვებული აქვს თუ არა საკმარისი და შესაფერისი აუდიტის მტკიცებულებები.</li> </ul>	<p>აუდიტორმა სამუშაო დოკუმენტებში ასახა ჩატარებული აუდიტის პროცედურები და ხელმძღვანელობის მიერ პერიოდის ბოლოს განსაზღვრული მირითადი საშუალებების ანაზღაურებადი დირებულების შეფასების შესახებ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები. ხელმძღვანელობის მიერ ამონაგების პროგნოზების შერჩევა აუდიტორმა მიმოხილვის კონტროლის ნაკლოვანების ნიშნად მიიჩნია, რომელზე დაყრდნობასაც ცდილობდა აუდიტორი მისი ფუნქციონირების ეფექტიანობის ტესტირების საშუალებით. ამის შემდეგ, აუდიტორმა განიხილა აღნიშნულის გავლენა აუდიტის გეგმაზე და დაასკვნა, რომ არ შეიძლებოდა მიმოხილვის კონტროლის პროცედურაზე დაყრდნობა და უფრო მაღალი დონის მტკიცებულებების მოპოვება იყო აუცილებელი მირითადი პროცედურებიდან. ამ მიზნით აუდიტორმა დამატებითი აუდიტის პროცედურები ჩატარა ხელმძღვანელობის მიერ შერჩეული ამონაგების პროგნოზის შესწორებულ დაშვებებთან მიმართებით და შესწორებული დაშვებების შესახებ მოიპოვა აუდიტის მტკიცებულებები. აუდიტორს არ შეუცვლია თანდაყოლილი რისკის შეფასება (კერძოდ, ის, რომ ამ სააღრიცხვო შეფასებასთან დაკავშირებული არსებითი უზუსტობის რისკი მნიშვნელოვანი იყო და მაღალი დონის იყო სუბიექტურობა და ხელმძღვანელობის მიკერძოების მიმართ მგრძნობელობა).</p> <p>აუდიტორმა ასევე განიხილა ამ მნიშვნელოვანი ნაკლოვანების გავლენა აუდიტის გეგმაზე, კერძოდ, შეაფასა მისი გავლენა სხვა სფეროებთან დაკავშირებულ ხელმძღვანელობის პროცესებზე (მათ შორის, მეთოდების იდენტიფიკაცია და შერჩევა, მნიშვნელოვანი დაშვებები და მონაცემები), ასევე განიხილა მიმოხილვის კონტროლის სხვა პროცედურები, რომლებსაც დაეყრდნო აუდიტში. მნიშვნელოვანი დაშვებების განსაზღვრის/შემუშავების მიზნით აუდიტორმა დაგეგმა მტკიცებულებების მოპოვება მონაცემთა წყაროების შერჩევისას განხორციელებულ განსჯასთან დაკავშირებული კონტროლის პროცედურების ტესტირებიდან.</p> <p>იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი მტკიცებულების მოპოვება შეუძლებელი იყო მიმოხილვის კონტროლის მექანიზმებზე დაყრდნობით, აუდიტორმა ჩატარა დამატებითი ძირითადი პროცედურები ხელმძღვანელობის მიერ ამონაგების პროგნოზისთვის შესაფერისი მონაცემთა წყაროების შესარჩევად გამოყენებულ პროცესთან მიმართებით, მათ შორის, შეაფასა, შესაბამისობაში იყო თუ არა ისინი წინა პერიოდების გადაწყვეტილებებსა და სხვა სააღრიცხვო შეფასებებთან.</p>

32. ას 330, 25-26-ე პუნქტები.

პას 540 -ის (გადასინჯული) მოთხოვნების არჩევა <sup>17</sup>	აუდიტორის ცოდნა და მიღებომა <sup>18</sup>
	მას შემდეგ რაც ხელმძღვანელობამ დაშვება შეასწორა, აუდიტორი უკვე დაკმაყოფილდა აღიარების, შეფასების, წარდგენისა და გამჟღავნების/ახსნა-განმარტებების შესახებ ხელმძღვანელობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით და შეფასა, რომ მას მოპოვებული ჰქონდა საკმარისი და შესაფერისი აუდიტის მტკიცებულებები.
34. 33(გ) პუნქტით მოთხოვნილი შეფასების დროს აუდიტორმა მხედველობაში უნდა მიიღოს ყველა რელევანტური მოპოვებული აუდიტის მტკიცებულება, დამადასტურებელიც და საწინააღმდეგოც. <sup>33</sup> თუ აუდიტორს არ შეუძლია საკმარისი და შესაფერისი აუდიტის მტკიცებულებების მოპოვება, მან ას 705-ის (გადასინჯული) შესაბამისად <sup>34</sup> უნდა შეაფასოს ამ სიტუაციის გავლენა აუდიტზე ან აუდიტორის მოსაზრებაზე ფინანსური ანგარიშგების შესახებ.	ზემოაღნიშნული შეფასებისას აუდიტორმა გაითვალისწინა ყველა მოპოვებული შესაბამისი მტკიცებულება. მოპოვებულ დამადასტურებელ მტკიცებულებებთან ერთად, აუდიტორმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმას, გამოვლენილი იყო თუ არა რაიმე პოტენციურად საწინააღმდეგო აუდიტის მტკიცებულება. აუდიტორმა დაადგინა, რომ ხელმძღვანელობის მიერ თავდაპირველად შერჩეული ამონაგების პროგნოზი არ შეესაბამებოდა ბაზრის უახლეს გამოქვეყნებულ ხელმისაწვდომ მონაცემებს. ხელმძღვანელობის მიერ ამონაგების შერჩეული პროგნოზის დაშვებების გადახედვა და გასწორება აუდიტორის მოთხოვნით, უდიტორმა მიიჩნია ამ საკითხის სათანადო გადაწყვეტად. აუდიტორს არ გამოუვლენია სხვა მტკიცებულებები, რომლებიც წინააღმდეგობაში მოდიოდა ხელმძღვანელობის მიერ ანაზღაურებადი ღირებულების შეფასების პროცესში მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებთან.
იმის დადგენა, სააღრიცხვო შეფასებები დასაბუთებულია თუ არა, ან შეიცავს თუ არა უზუსტობას 35. აუდიტორმა უნდა დაადგინოს, სააღრიცხვო შეფასებები და განმარტებით შენიშვნებში გამჟღავნებული შესაბამისი ინფორმაცია დასაბუთებულია ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლების მოთხოვნების შესაბამისად, თუ უზუსტობას შეიცავს. ას 450-ში <sup>35</sup> მოცემულია მითითებები იმის შესახებ, როგორ შეუძლია აუდიტორს	აუდიტორმა დაადგინა, რომ ხელმძღვანელობის მიერ აუდიტორული კორექტირების აღიარების შემდეგ, რის შესახებაც მითითებულია ზევით 27(ა) პუნქტან დაკავშირებით, ხელმძღვანელობის მიერ გამოთვლილი ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება დასაბუთებული იყო ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლების კონტექსტში. ამასთან, ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული, განმარტებით შენიშვნებში გამჟღავნებული ინფორმაცია, მაგალითად, ბასს 36-ის მოთხოვნების შესაბამისად და ბასს 1-ით გათვალისწინებული ინფორმაცია შეფასების განუსაზღვრელობის შესახებ, აუდიტორმა დასაბუთებულად მიიჩნია ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლების კონტექსტში.

33. ას 500, მე-11 პუნქტი.

34. ას 705 (გადასინჯული) – „მოსაზრების მოდიფიცირება დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში“.

35. ას 450, პუნქტი გ6.

ასს 540 -ის (გადასინჯული) მოთხოვნების არჩევა <sup>17</sup>	აუდიტორის ცოდნა და მიდგომა <sup>18</sup>
<p>სხვადასხვა ტიპის უზუსტობის (როგორიცაა, ფაქტობრივი, მსჯელობით განპირობებული ან პროგნოზირებული) გამიჯვნა/გარჩევა, როდესაც აფასებს შეუსწორებელი უზუსტობების გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე. (იხ. პუნქტები გ12-გ13, გ139-გ144)</p>	
<p>36. სააღრიცხვო შეფასებებთან დაკავშირებით აუდიტორმა უნდა შეაფასოს:</p> <p>ა) სამართლიანი წარდგენის საფუძვლების შემთხვევაში – ხელმძღვანელობამ, ამ საფუძვლებით სპეციალურად მოთხოვნილი ინფორმაციის გარდა, ფინანსური ანგარიშგებაში გაამჟღავნა თუ არა ისეთი ინფორმაცია, რაც აუცილებელია მთლიანად ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მისაღწევად;<sup>36</sup> ან</p>	<p>საწარმომ დაადგინა, რომ მთლიანობაში ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მისაღწევად, აუცილებელი არ იყო დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნება განმარტებით შენიშვნებში ბასს 36-ითა და სხვა შესაბამისი სტანდარტებით (მაგალითად, ბასს 1-ით) მოთხოვნილი ინფორმაციის გარდა.</p> <p>აუდიტორმა შეაფასა ამ საკითხთან დაკავშირებული ხელმძღვანელობის დასკვნები და დაეთანხმა მათ.</p>
<p>ბ) შესაბამისობის საფუძვლების შემთხვევაში – ხელმძღვანელობის მიერ გამჟღავნებული ინფორმაცია არის თუ არა ისეთი, რომ ფინანსურმა ანგარიშგებამ შეცდომაში არ შეიყვანოს მომზმარებელი.<sup>37</sup></p>	<p>ეს მოთხოვნა არ გამოიყენება, რადგან ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძლები არ მიიჩნევა შესაბამისობის საფუძვლებად.</p>

36. იხ. ასევე ასს 700 (გადასინჯული), მე-14 პუნქტი.

37. იხ. ასევე ასს 700 (გადასინჯული), მე-19 პუნქტი.

## აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IAASB) შესახებ

IAASB-ის მიზანია ემსახუროს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას აუდიტის, მარწმუნებელი და სხვა დაკავშირებული მომსახურების მაღალი დონის სტანდარტების დადგენით და აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტების კონვერგენციის ხელშეწყობით, რაც უზრუნველყოფს პრაქტიკის ხარისხისა და ერთგვაროვნების ამაღლებას მთელ მსოფლიოში, ასევე საზოგადოების ნდობის განმტკიცებას აუდიტის და მარწმუნებელი მომსახურების გლობალური პროფესიის მიმართ.

IAASB შეიმუშავებს აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების სტანდარტებს და სახელმძღვანელო მითითებებს ყველა პროფესიონალი ბუღალტრისთვის, სტანდარტების შემუშავების საერთო პროცედურული პროცესის ფარგლებში, რომელშიც ჩართულია საზოგადოებრივი ინტერესების საზედამხედველო საბჭო. საბჭო ზედამხედველობას უწევს IAASB-ისა და IAASB-ის საკონსულტაციო ჯგუფის საქმიანობას, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებას სტანდარტებისა და მითითებების შემუშავებაში.

ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია<sup>®</sup> ანუ IFAC<sup>®</sup> ხელს უწყობს იმ სტრუქტურების საქმიანობისა და შესაბამისი პროცესების განხორციელების მხარდაჭერას, რომელსაც ეფუძნება IAASB-ის საქმიანობა. IAASB და IFAC პასუხს არ აგებენ იმ ზარალზე, რომელიც განიცადა პირმა, წინამდებარე გამოცემაში გამოყენებული მასალის საფუძველზე ან მის გაუთვალისწინებლად მოქმედების შედეგად, მიუხედავად იმისა, რითი იყო გამოწვეული ეს ზარალი, დაუდევრობით თუ სხვა მიზეზით.

საავტორო უფლება ©2020 წლის მაისი, ეკუთვნის IFAC-ს. ყველა უფლება დაცულია.

The ‘International Auditing and Assurance Standards Board’, ‘International Standards on Auditing’, ‘International Standards on Assurance Engagements’, ‘International Standards on Review Engagements’, ‘International Standards on Related Services’, ‘International Standards on Quality Control’, ‘International Auditing Practice Notes’, ‘IAASB’, ‘ISA’, ‘ISAE’, ‘ISRE’, ‘ISRS’, ‘ISQC’, ‘IAPN’ და ლოგო IAASB IFAC-ის სავაჭრო ნიშნებია, ან IFAC-ის რეგისტრირებული სავაჭრო და მომსახურების ნიშნებია აშშ-სა და სხვა ქვეყნებში.

საავტორო უფლების, სავაჭრო ნიშნებისა და ნებართვის შესახებ ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ მიმართოთ [permissions](mailto:permissions@ifac.org) ან დაგვიკავშირდეთ [permissions@ifac.org](mailto:permissions@ifac.org).

ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) პუბლიკაცია „ასს 540 (გადასინჯული) დანერგვა – მარტივი და რთული საილუსტრაციო მაგალითები“, რომელიც 2020 წლის მაისში ინგლისურ ენაზე გამოსცა International Federation of Accountants (IFAC), ქართულ ენაზე თარგმნა საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციამ 2022 წლის მარტში და გამოიცემა IFAC-ის ნებართვით. IFAC-ის პუბლიკაციების დამტკიცებულ ტექსტად მიიჩნევა IFAC-ის მიერ ინგლისურ ენაზე გამოცემული ტექსტი. IFAC თავის თავზე არ იღებს არანაირ პასუხისმგებლობას თარგმანის სისწორესა და სისრულეზე, ან ქმედებებზე, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს ამ დოკუმენტის გამოყენებას.

ასს 540 (გადასინჯული) დანერგვა – მარტივი და რთული საილუსტრაციო მაგალითები, 2020 წლის მაისი, ინგლისურენოვანი ტექსტი © 2020 წ. IFAC. ყველა უფლება დაცულია.

ასს 540 (გადასინჯული) დანერგვა – მარტივი და რთული საილუსტრაციო მაგალითები, 2020 წლის მაისი, ქართულენოვანი ტექსტი © 2022 წ. IFAC. ყველა უფლება დაცულია.

ორიგინალური ვერსიის სახელწოდება: *ISA 540 (Revised) Implementation – Simple and Complex Illustrative Examples*, May 2020

წინამდებარე დოკუმენტის გამრავლების, შენახვის, ან გადაცემის, ან სხვა ანალოგიური მიზნით გამოყენებისთვის ნებართვის მისაღებად დაგვიკავშირდით: [Permissions@ifac.org](mailto:Permissions@ifac.org)



529 Fifth Avenue, New York, NY 10017  
T +1 (212) 286-9344 F +1 (212) 286-9570  
[www.iaasb.org](http://www.iaasb.org)

თარგმნა:

